

75
1964/2

ივლისი
№ 7 1964 წ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამკვიდროს ქალი

045/2





ქართული
ბიბლიოთეკა



ქალბატონი რამინჯიანი საფუძვლის უფროსი პარალელური ბათია

ფოტო ბ. მაღლაფერიძის



მ. ბათია თვითი

29

645/2




ზღვანთან

ფოტო - მ. შანიძის

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და
ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალი
№ 7 ივლისი 1984 წელი

საქართველოს ჟალი

გამოცემის
მერვე
წელი
(41-ე)



საქონე უნდა გამოვიჩინო...



ურნობა ყოველთვის მოწინავე იყო მაღალი პროდუქტიულობით, შრომადღებების ანაზღაურების მაქსიმუმით.

საიდუმლოების გასაღები ფართობის ინტენსიურ გამოყენებაში მდგომარეობს. იმერეთში გლეხი მართო სიმინდისათვის არ მოაცდენს მიწას, სხვას თუ არა, ლობიოს მაინც შეათესავს. მამა-პაპათა გამოცდილებას თავიდანვე მიეჭკა აქ ყურადღება, რადგან იგი თეორიულადაც იყო გამართლებული: პარკოსანი კულტურები ხომ ნიადაგს აზოტით ამდიდრებენ და ხელს უწყობენ უხვი მოსავლის მიღებას, ხოლო სხვადასხვა მცენარის შეთესვა ერთდაიგივე ნაკვეთზე რამდენიმე კულტურის ერთდროულად მოყვანის საშუალებას იძლევა. ასე გადაიტრა მიწის ინტენსიფიკაციისა და პროდუქტთა მაქსიმუმის წარმოების საკითხი.

ამ მეთოდს არასდროს არ უმტყუნია.

1942 წელს, როცა ქვეყანას უჭირდა და ვაჟაკის ხელი ზურგში დედაკაცს უნდა შეეცვალა, კოლმეურნეობას სათავეში ერთი შავტუხა, გამრჯე ქალიშვილი ჩაუყენეს. ქალიშვილს არ ჰქონდა გამოცდილება, სამაგიეროდ ჰქონდა ენერჯია და შრომის სიყვარული. საქმეს გადაეგებული, თავადებული შვილის შემყურე დედამ იმედი გადაწყვიტა — ეს გოგო ოჯახს ვედარ მოეკიდება, თავისთვის სულ არ სცალიაო, მაგრამ შიში არ გამართლდა, სიყვარული და ოჯახი თავისთავად მოვიდა.

თამარ თავაძე იმ ქალიშვილის სახელი და გვარი. დღეს იგი თბაში ჭალარაშერეული ქალია, მოსწრებული შვილების დედაა, მაგრამ არსებითად არაფერი შეცვლილა, ისევე უყვარს კოლმეურნეობა, საერთო საქმისათვის თავდადება, გარჯა, როგორც აქ მოსვლის პირველი დღეს.

საკმაოდ ჩამორჩენილი მეურნეობა ჩაიბარა თამარმა, მოაღონიერა, გაზარდა, გააუმჯობესა. მძიმე პირობებში შეუდგა მშენებლობას. მაშინდელია მსხვილფეხა პირუტყვის ფერმა — შემდგომში ხბორების სადგომი, სასილოსე კოშკი. უფრო გვიან ააგეს მეღორეთობის ფერმა, აბრეშუმის გამოსაკვები ბინა, საწყობები, კანტორა, კლუბი, გზებიც მოასფალტეს. ჩამოსათვლელად ადვილია, გაკეთება კი ათასგვარ სიძნელესთან და დიდ გარჯასთან იყო დაკავშირებული.

ფერმის დასათვალისწინებლად შევედით. მწველავის მეტი არაგინ დავიხსენებ. აქ ყველაფერი მექანიზებულია. პირუტყვი მინდორში გაერკათ, სადგომი ისე დაუსუფთავენინათ, ვერც წარმოიდგენდით, თუ იქ 55 ფური იდგა. თავმჯდომარემ ამყადა გაიარა თავიდან ბოლომდე, სარ-

მაისია, გვიანი გაზაფხული...

ტრაქტორი „დტ-54“ რიონის ჭალაში მირჩენილ ფართობს ხნავს. მესაჭე ვახტანგ ბერძენიშვილი მაღიმაღ გახედავს ნამუშევარს, თვალთი ზომავს — ჩქარა დამთავრებას ვარაუდობს. ხან ცისკენ გააპარებს მზურას და ფიქრობს:

— ღმერთი არ გაუწყრეს, არ იწვიმოს...

მზე ღრუბლებში იმალება, მოლუშული კვირა დილა დგას. სივრცეში მრუმე ნაცრისფერი გამჯდარა, ჰაერი ნესტით გაქვინთილა.

საპირისპირო მხარეს ვლადიმერ გრიგოლიას სათესმომული „ბელორუსი“ გუგუნებს. ვლადიმერი მარჯვე ტრაქტორისტია, თხუთმეტ მაისამდე მორჩება თესვას. ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ არის და შორიდან, ნაცრისფერ ფონზე ტრაქტორები მართლა ღია ზღვაში გასულ სომალდებს გვანან...

რიონის ჭალასა და მის ხოდაბუნებს მოას-

ფალტებული შარა და რკინიგზა სერავს. გლენისათვის ცოტა საჩოთიროა ეს, მაგრამ ქალაქის კოლმეურნეობის დამახასიათებელ კოლორიტს კი ქმნის.

სანაფარდო სამტრედიისა და მიკრული, სოფლის ტერიტორიის ნაწილი უკვე შემოუმტკიცებია და ამგვარად გაუზრდია თავისი შემოგარენი. ამის უტყუარი ნიშანი ისიც გახლავთ, რომ კოლმეურნეობის სანაფარდო შუაგულ ქალაქშია მოქცეული და მას ხუმრობით „კულტურისა და დასვენების პარკს“ უწოდებენ.

ასეა თუ ისე, კოლმეურნეობას დღეს 300 ჰექტარი სახნავე-სათესი უეკავია. მის ეკონომიკას განსაზღვრავს მეცხოველეობა, მეაბრეშუმეობა და ერთწლიანი კულტურები: სიმინდი, ლობიო, ბოსტნეული...

ყოველწლიური შემოსავალი 160 ათას მანეთს აღემატება. კიკვიძის სახელობის კოლმე-

უკეთესი

ჯი

წყულებლებს შეავლო თვალი და ბოლოში გავედით, რაღაც არ მოეწონა, ხელი ნერვიულად აიქნია და მიგვახედა: კედელი ერთ კუთხეში მორღვეულიყო, ეტყობოდა პირველად შენიშნა, სინანულით თქვა:

— მსგავს რამეს რომ წავაწყდები, ისეთი განწყობა მეუფლება, თითქოს სხეულის ნაწილს მკვეთდნენ.

ეს აღსარება გაჩრქვე ადამიანისა, თავის შრომის ნაყოფს რომ შესისხლხორცებია.

მაღალი მოსავლის მოყვანა და შრომადღეობის მაქსიმალური ანაზღაურება იმთავითვე პირველი საზრუნავი იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარისათვის. მეურნეობის საზრიან გამძღოლს, გლეხების სიყვარული, ნდობა და ერთგულება აქვს დამსახურებული.

თავმჯდომარე ქალის პორტრეტი რომ შეიგოს, უნდა გავიხსენოთ ამბავი წითელი დროშებისა:

პირველმა დროშამ 1944 წელს დაამშვენა კოლმეურნეობა, ეს იყო რესპუბლიკური ჯილდო მარცვლეული კულტურებისა და ბოსტნეულის მაღალი მოსავლისათვის. მას შემდეგ რაიონული გარდამავალი ალაში ზომ აქ დარჩა მუდმივად.

1958 წელს, როცა სანაგარდოელებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში ლატვიის რესპუბლიკის ბაუსკას რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა გამოიწვიეს, გაიმარჯვეს კიდეც და ბაუსკას რაიონის გარდამავალი წითელი დროშაც მიამატეს ადრინდელ „ნადავლს“.

ყოველ წელიწადს წარმატება და, მაშასადამე, დიდი დოვლათი სანაგარდოში თითქოს კანონად ქცეულა. გავიხსენოთ თუნდაც შარშანდელი წელი. იგი ყველაზე ცუდი იყო კლიმატური პირობების მხრივ, მაგრამ სანაგარდოელებმა რაიონის სხვა კოლმეურნეობებთან შედარებით მაინც ორჯერ მეტი მოსავალი მოიყვანეს, გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის პროდუქციის მიყიდვის გეგმა, შრომადღეებზე ფულად ოთხი მანეთი გაანაწილეს, ხოლო ნატურით — 7 კილოგრამი მარცვალს.

ბექტარზე 28 ცენტნერი სიმინდი, 16 ცენტნერი სოიო, 19 ცენტნერი ლობიო, თითოეული ძროხიდან 2.300 კილოგრამი რძე, 77 კილოგრამი ხორცი — ასეთია შარშანდელი მაჩვენებლები.

წელს გაცილებით მაღალია ვალდებულებები, მაგრამ წინასწარი მონაცემები უკვე იმაზე მეტყველებენ, რომ პირს არც ამჯერად შეირცხვენ სანაგარდოელები. სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის 9 თვის გეგმა უკვე შეასრულეს. ხარისხიანი თესლი, მექანიზაციის ფართოდ დაწერგვა, სასუქების დროულად გამოყენება, აგროწესების დაცვა ბარაქიანი შემოდგომის საწინდარია.

რიზიანი, ჯანიანი და პრინციპული კოლმეურნეობის თავმჯდომარეა თამარ თავაძე, მაგრამ ქალობას მაინც ვერსად გაქცევია, გულწვილი და სათუთი დარჩენილა. თუნდ მცირედი საწყენი შეჭედეს, შავი თვალები აუწყლიანდება, ხმა წაერთმევა და სისუსტე ძლევს, მაგრამ ეს წუთიერია, მალე მოერევა თავს და თავის ვაჟაკურ სამუშაოს მთელი ძალით მივტიანება...

ნორა ნორბაძე

ისე მოულოდნელად შეწყდა ხმაური, თითქოს უხილაგმა ხელმა ადუგდუგებული მანქანა გამორთო.

კარებში საშუალო ტანის ქალი იდგა და ბაგეში ძუნწი ღიმილი ჩაემაღა. უყვარდათ ეს ძლივს გამეტებული ღიმილი მათ, ვინც ასე უცბად მიყურდა. უყვარდათ იმიტომ, რომ იგი უნებლიედ ამხელდა შენიღბულ გრძობას, რომლის გამომჟღავნებასაც, რატომღაც, ასე უფრთხის ხოლმე პედაგოგი.

შიში რა შუაშია; თითქოს დამაგნიტირებულია თითები, რომლებსაც დაფაზე ლამაზად გამოჰყავს სიტყვები:

„სად იცის მიწამ ასე სუნთქვა, ცამ ლაქვარდები“

მოიყვანა და კილოს ომახიანობა უნდა ჰქონდეს, ხმაში, რატომღაც ყრუ ტონები ეპარება.

სტუდენტები ამას არ არიან მიჩვეული. ქეთევანი გრძობს ამას, გრძობს და ხედავს კიდეც მათ გაგანიერებულ თვალეში.

ეს სიტყვები პოეტ სევერიან ისიანს, მისი ბავშვობის მეგობარს ეკუთვნის; იგი კავკასიონის მისადგომებთან შეერწყა შშობლიური მიწის სუნთქვას, იქ, სადაც სიკვდილი და უკვდავება ხელიხელგადახვეული დააბიჯებდნენ.

რა დაავიწყებთ კითხვა-ძახილის წინადადების სახეებს მათ, ვინც ახლა ღრმა ამოსუნთქვასაც კი უფრთხის, რომ არ დაარღვიოს ეს არაჩვეულებრივად პოეტური და თანაც საქმიანი განწყობილება.



და გაზაფხულმა ასავერდება?! რომელი მზის ქვეშ იცინიან ასე ვარდები, ლაღობს გული და ადარ ბერდება?!“

მერე ხმამაღლა კითხულობს. მიუხედავად იმი-სა, რომ ეს ტაბები ახლა მან შინაარსის მიხედვით

„დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა იცეს, გაისარჯოს და ბრძოლებში დაიხარჯოს! დაუკარით!“...

რამდენი უნდა იფიქროს კაცმა, რომ ძახილის წინადადების ნიმუშად ამაზე უკეთესი მაგალი-

თი მოიყვანოს! სტუდენტებს აღარ სჭირდებათ ამ სიტყვების ავტორის შესწვნება.

მოსწავლის ბუნების საწინააღმდეგოდ, არავის არ უხარია ზარის ხმის გაგონება. ყველანი გაუძნრველად სხედან და თვალთ აცილებენ პედაგოგს, რომელმაც სამუდამოდ დაუმსხვრია მათ აზრი, რომ გრამატიკა მშრალი მეცნიერებაა. ახლა ბევრ მათგანს, ალბათ, სწორედ გრამატიკის მასწავლებლად წარმოუდგენია თავი. პირველსავე გაკვეთილზე შესვლისას, კარებში შეჩერდებიან, ბაგეში ძუნწ ღიმილს ჩამალავენ, ეცდებიან შენიღბონ გრძობა, რომლის გამოშლად ვინაობასაც ასე უფრთხის პედაგოგი.

გამოცდების მოახლოებისას კი საშინლად დეჟავენ სტუდენტები, იციან რომ ქეთევან ძოწინიძეს ღიმილის ნასახიც აღარ შეერჩება, ყალბი პასუხის გაგონებაზე წარბებს გაკვირვებით აძვინებენ, მერე აუღელვებლად დახურავს ჩათვლის წიგნაკს და შემდეგ სტუდენტს გამოუძახებს. იციან ეს და დღე-ღამეს ასწორებენ. „მკაცრი ლექტორი“, „მართალი ქალი“, ჩურჩულებენ დერეფნის ფანჯრებთან შეჯგუფულნი, და როგორც რაღაც საზეიმო მომენტს, ისე მოვლიან მასთან გამოცდაზე შესვლას.

ასეა, უფროსი თაობა ყოველთვის ნიმუშია მისი მომდევნო თაობისათვის. ქეთევანსაც ბევრი რამ გამოჰყვა თავისი მასწავლებლისაგან. მისი ლიტერატურის პირველი მასწავლებელი დია ჩიანელი იყო, ეს სვედიანი სალამური, რომელიც, რა თქმა უნდა, აღზრდილებს მემკვიდრეობად დაუტოვებდა თავისი გამჭვირვალე სულის ანარეკლს.

ქეთევანს ქიმიურ ფაკულტეტზე შესვლა გადაუწყვეტიათ — გაიყო დიამ და მაშინვე კაცი აფრინა მასთან.

„რა შენი საქმეა ტუტები და მჭავეები. არ გაბედო!“ და ქეთევანმაც დაუჯერა.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ქეთევანმა ქუთაისში დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა. მისმა აღმზრდელმა პროფესორებმა: კორნელი კეკელიძემ, აკაკი შანიძემ, ვარლამ თოფურია, მისივე ზანდუკელმა, რომელთა სახელების გაგონებაზეც ქეთევანს უდიდესი მოწონებისა და თავყანისცემის გრძობა უნათებს სახეს, ვერაფრით ვერ დაიყოლიეს გაჯიუტებული ქეთევანი თბილისში დარჩენილიყო.

დაბრუნდა თავის ქუთაისში, სადაც დედის თბილი ხელები მიეღოდა.

ფოსტას სისტემატურად მოაქვს ქეთევანთან წერილები თბილისიდან. თითქოს პირი შეუკრავთ, ჩამოდით ვხევეწებიან, ენაებათ „ჭკვიანი ქალი“ რომ მათთან არა გვერდით.

მაგრამ ქეთევანს უყვარს ქუთაისი, თავისი „ზარმაცი“ სტუდენტები, რომლებსაც ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ღიმილით გააცილებს და თავის გულის ნაწილს გაატანს. ერთი წლის შემდეგ კი სათითაოდ ჩამოუვლის, სახელმძღვანელოებს ჩაუტანს შორს, სოფლებში ჩასულთ, უკვე „ავტორიტეტთან“ მასწავლებლებს, გაკვეთილებზეც დაესწრება და თუ საჭირო იქნება, ძველებურადაც „შეასურებს“.

როცა მანქანა ქუთაისისკენ გზას დაადგება, ქეთევანი დატინებით, მაგრამ უჩინო მზევრით გზის

დასალიერს დააცქერდება და ისევ „მათზე“ დაიწყებს ფიქრს, ფიქრს იმაზე, თუ რა უცნაურია ცხოვრება, ეს ყველაზე მკაცრი მასწავლებელი რომელსაც ერთი წლის განმავლობაში ასე დაუსრდია „ბავშვები“, მშობარს მასწავლებელი თავში დარწმუნებულ, ბეჯით პედაგოგებად უცხვია. მერე რაღაც შეუცნობელი მსუბუქი სვედა მოერევა. უკვირს რა მალე მიჰქრის დრო, რა მალე ვაჟკაცდებიან გოგო-ბიჭები!

ეს მოგზაურობანი ქეთევანს თავის საკვალი-ფიკაციო თემის დამუშავებაშიც ეხმარება. იგი მალე დაცავს სადოქტორო დისერტაციას თემაზე „ზემოთმხრული კილო-კავები“.

* * *

მშით და პაერთი სავსე განიერი შუშაბანდის კედლებზე ქართული თიხის, ქართული ფორმის პაწია კათხები ჰქიდა, კათხებიდან დაბლა, კედელზე გადმოთუღვრიათ აჭურულფოთლებიანი რტოები „ჭორიკანებს“.

მაგიდასთან სამნი სხედან, ერთი მათგანი — სტუმარი გრძნობს, როგორი სიყვარულითა და სიფაქიზით სუნთქავს ამ სახლში ყოველივე, დიასახლისის ბეჯითი ხელი ეტყობა ყველაფერს. დიასახლისი ხუმრობს:

„გვიან ვიკისრე დიასახლისის მოვალეობა!“
დაბლა ტრეტურაზე ახალგაზრდა წყვილი გაივლის, ალბათ, ღიმილით ახედავს გაჩახჩახებულ ფანჯრებს, სადაც „მართალი ქალი“ მარტო აღარ ცხოვრობს.

ნაწული ცაბარაიშვილი

ახლა ვსწავლობ ნაიას

ჩამოვუსვი ხაზი,
გამოვაბი კული.
თავზე დავახურე
კოხტა, მრგვალი ქული.

მე მგონია ასე,
კი იქნება სწორი.
ერთის წერა ვიცი,
დღეს ვისწავლე ორიც.

ქაკი აივანა

ამოვარდა დიდი ქარი,
ყველა ააწრიალა,
აქეთ თოჯინა მიაგლო,
იქით ჭრელი ბზრიალა,
ბებოს სათვალე წაართვა,
სადღაც გააფრიალა.

მაკა და მზია

ეს ვინ კისკისებს ამ დილით,
იქნებ წყაროა კამყამა?
ლაჟვარდში გაბრწყინებული
მზე თუ იციანის თაქარა?
იქნება წყალი ლიკლოცებს
ყელმოხატული სურბიდან.

კლდიდან თუ მოჩქევს ჩანჩქერი
სიმღერით საამურიოთა.
მინდორში დარბის კუნტრუშით
შვლის ორი ნუკრი პატარა, —
ეს ხომ მაკა და მზიაა,
მღერიან გულგასახარად.

მარო ვაშაპიძე,

კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

ვენერა ჯაფარიძე

მნიშობალები

ნისლი მუხურის მთას რომ აშორდა,
ნისლი ხშირ ტყეებს ისე ევლება!
რამ მომაგონა ახლა ბავშვობა,
რამ? — ჩემი სოფლის მწიფობელებმა.

ცა, შემოდგომის ცა, ახლოსაა,
ყვითლად აიმღვრენ მზეზე ველები.
შემოდგომაა. მზეს და მოსავალს
ნაზად ლოცავენ მწიფობელები!

გიორგი გიბაური

ზღვაზე

მეუბნებოდი:
„იფრთხილე ზღვაზე,
იქ გრძნობის სიმი მარად წკარუნობს.
არ დაუწერო სონეტი სხვა მზეს,
აჩქარებით და უსიყვარულოდ...“

დღეს მე ვიგონებ,
სიტყვები შენი
ზემიტაცებენ სიმართლის ფრთებით,
არავის ვუცდი,
არავის ველი,
ბუნების ეშხით ისედაც ვტკებები.
ტალღებზე გწევარ,
ვალაღებ ბწკარებს,
იფანტებიან თეთრი ღრუბლები,
და მობანავე ნამგალა მთვარეს
შენს კარგობაზე ვესაუბრები.
შენსკენ სავალ გზას ფიქრებში ვკეცავ,
დღეს თუ მარტო ვარ, ამას არ ვჩივი,
მე ზღვაზე გწევარ და ზღვა კი ზეცას
მიუწვევია მკერდზე ბავშვივით...

ნახევარი

იყო

მხატვარი ნანა მესხიძე

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მოგრი თუ არა ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებს, თბილისურმა სიცხემ იმავე დღეს ხვესურეთისაკენ გამომაქცია. ბარისახომდე ავტობუსით მოვედი. ღამეც იქვე გავათიე მამიდასთან. აქედან შორს აღარ არის ჩემი სოფელი. ერთი დაბალი მთა უნდა გადამევლო კიდეც, მაგრამ ღამდებოდა და მამიდაჩემმა აღარ გამიშვა.

გათენებამდე მაინც ვერ გავძელი. ცისპირტახზე გამოვემშვიდობე მამიდას: მჩქარებოდა ჩემი სოფლის ნახვა. მამიდაჩემის ქმარმა — ხირჩლამ ცალთულიანი სანადირო „ცენტრალკა“ და სავაზენ გამომიტანა: მგზავრი ვარ, ვინ იცის... „იარად საჭირო არა“. ეგეც არ იყო, „მთაჩი შურთხსა და როტოს რა გამოიღვებ. მქონდას ქალაქში წასვლამდე“. თვითონ მაინც არაფერში ხმარობს.

მზის ამოსვლისას უკვე სოფლის გვერდით ვიყავი წყაროსთან. სოფელი არ ჩანდა — შიშველი, სიგრძივ გაწოლილი სერი ფარავდა. მარტო კვამლის მოლურჯო სვეტებს ვხედავდი, კლაკნილად აღმართულთ ცაში. კანტი-კუნტად ხმაურიც ისმოდა: ბუბა სამძიმარს გადასძადა, სუმბატა სათიბში ეპატიებოდა თორღვას. მერე გაისმა ხანგრძლივი, ხრინწიანი ხველა, — ეს ხუცესი, ხვეისბერი ბაბურაული იყო. როგორც ჩანს, უკვე გამოსულა ბანზე. ალბათ ზის ორბივით გაფხორილი და აბოლებს შევერცხლილ, სევადიან ყალიონს. თან იწიტება... მეამა ნაცნობი ხმების გაგონება და წყაროს პირას ლოდზე ჩამოვჯექი. ვერ შევებდე სოფელში ჰაირიარად შესვლა, უადგილო იყო, — სურათს წაშლიდა, დაარღვევდა რიტმს. სიგარეტს მოვუკიდე და შორით მივუგდე ყური.

ჩემ გვერდით, ლოდინებში, წყარო ჩუხჩუხებდა. ყვავილებზე მიმოზულოდნენ ფუტკრები. ფოთლიდან ფოთოლზე ტკაცუნით მოწვეთავდა ნაბი. სადღაც, სულ ახლოს, ბლაოდნენ ბატკნები. მალე სერზე პატარა, თეთრი ფარა გადმოჩნდა. ხუჭუტა ბატკნებმა გოგმანით ჩამიარეს გვერდზე, გადათელეს ნამიანი ბალახი და წულის დასაღვევად ღელეში ჩაიკრიფნენ.

მეც წამოვდექი. ჩამქრალ სიგარეტს ხელახლა მოვუკიდე და სოფლისაკენ შევბრუნდი. სერზე ქალიშვილის მოხდენილი ტანი ამომართა. ბატკნებს მოჰყვებოდა კვალზე. ხელში საქსოვი ეჭირა. ცისფერფოთლიანი, სიფრიფანა კაბა ეცვა. ფეხშიშველა იყო. მსუბუქად მოაბიჯებდა ნამიან ბალახში, კაბის სველი ბოლო წვივებზე ეტმასნებოდა. შორს არ იყო, მაგრამ უცბად ვერ ვიცანი. თვითონ ეტყობოდა, მიცნო: წამით მოსწვევტლა თვალს ხელსაქმეს და გამომხედავდა, — ტუჩებზე ღიმი გადაურბენდა.

კიდურზე წადგა, ჩახედა სამწყესოს და, — სსიი-ჭ! — ჩასძახა. მერე ისევ ჩემკენ იბრუნა პირი და უკვე დაუფარავად გამიღიმა.

ხმამ და ღიმილმა გასცა: თორღვას ქალიშვილი იყო, თალაა. ადგილზე გავშტერდი. აღარ მახსოვს, როდის ვნახე უკანასკნელად. მგონი, გაზაფხულზე, თუ ცოტა ადრე. მაგრამ აღარაფერი აღარ უგავდა იმ ანც, თმაგაწეწილ, კნაჭა გოგონას. სწორედ ასეთი მახსოვდა ის მე. ცისმარე დღე მოუსვენრად დარბოდა სოფელში, დაფოფხავდა ყორის ღობეებზე, დაძვრებოდა ბარდებში, შლიდა ჩიტის

ბუდეებს და წვრილი მაჭები, კანჭები და სახე მუდამ მტვრიანი, დაკაწრული და დასისხლიანებული ჰქონდა.

შორიასლო ჩამოვდა, — მახვედ მშველობით, სტუმარო, — მითხრა ხუმრობით და ხელი გამომიწოდა. ახლოდან უკეთ დავაკვირდი: არა, არაფრით აღარ ჰგავდა მაშინდელ თალაას. ჩემ წინ უკვე დასრულებული ქალი იდგა. აღარც რამე აკლდა და არც ეჭარბა. გაცდებულ და თან მოხიბლული ვიყავი ამ შეცარი ცვილებით. მჭეროდა და აღარც მჭეროდა. რაღაც მიხაროდა და რა, ვერ ვიგებდი. თვალს ვეღარ ვწყვეტდი, მონუსხულივით შეეყურებდი და გულში, მგონი, მეთედ ვიმეორებდი:

„... ეჭე, როგორ გაზრდილა... გალამაზებულა... სად? როდის? როგორ?“

თალაა ხელს არ მართმევდა. იღიმებოდა. მისი ღიმილი ძალიან ჰგავდა ჩვენს ირგვლივ ბალახებსა და ხის ფოთლებზე დაფრქვეულ ნამის ციმციმს. ხელზე ოდნავ მოვუჭირე ხელი. დაწვებზე სიწითლემ გადაჰკრა, თავი დაღუნა და — გამიშვი! — მითხრა არაბუნებრივად მუდგრი ხმით. ამ თქმაში არ ჩანდა არავითარი სურვილი, არც თხოვნა იყო, არც — მოთხოვნა. უფრო მოვუჭირე თითები. — ნუ, მეტყივ, — თქვა იმავე ხმით და წელში როგორღაც გაიწინა, თითქოს გაიკლანა. მერე წარბი შეიკრა უცბად, — ვაიმე ბატკნები აღარ ჩანან. გამიშვი! — ხელი გამომტაცა და ქვევით გაიწია.

— თალაა, ჯერ დაცა... ჯერ არა... — ვთქვი და შევეკრთი: ჩემი ხმის კილო — მუდარამ შემპკრთო. რად ვუთხარი ასე? რატომ გადავუდექი წინ? — არ ვიცი. გულში რაღაც თბილი მოლოდინი გამიჩინდა და დამენანა მისი უცბად შეწყვეტა. შეიძლება გადაჭარბებაც იყო ეს. მაგრამ ვინ არ ჩასკიდებია პირველი გამხელის ამ ნეტარ წუთებს. ხშირად ნაჩქარევია ეს წუთები, უადგილო და გაუმინავი, მაგრამ აქედან კი მოდის ყველაფერი. წუთებია და წელიწადებს კი იტევს. მე ახლაც თვალწინ მიდგას ჩვენი პირველშეყრის სურათი, თითქოს ვხედავ თალაას ცისფერ, შიშისა თუ მოულოდნელობისაგან ფართოდ გახეილ თვალებს და თითქოს იმ შორეულ ხმის ექოც მესმის:

— რა გინდა?

ტუქსვით მითხრა, შემოტევით და გამაჩუმა. ვგრძნობდი, რომ მიმორჩილებდა თანდათან. ის სრული იყო ყველაფრით, მე კი ჯერ ბევრი რამ მაკლდა და მჯობნიდა. სულ უფრო აუტანელი გახდა ეს განსხვავება. „ახ, ნეტავ ახლა წავიდეს, — ვნატრობდი უკვე, — ნეტავ წავიდეს, მომშორდეს და აღარასოდეს აღარ შემხვდეს“. მაგრამ თალაა არ მიდიოდა. ქალები ამ ასაკში გაცილებით თამამნი და გაბედულნი არიან. გასაჭირს მიმიხვდა, ტუჩებზე ღიმი გაუკრთა და როგორც ბავშვს, ისე დამიყვავა:

— თქვი, ჰო, რა გინდა?

თქმა ღილაღც მინდოდა, მაგრამ ენა ვერ დავძარი. ქვევით გავიხედე. ბატკნები კიდეც არ ჩანდნენ. თალაამაც გაიხედა. — იყვნან,

— თქვა თითქოს დასამშვიდებლად, — წყალს შასმენ და თავადაც
ამავლენ.

მზემ აიწია. ნიავი ჩადგა. ტყე გაიბერტყა და გაუჩინდა. ჩვენც
მდუმარედ ვიდრეკით. თვალს ვარიდებდით ერთმანეთს.

— წავალ, ბატონებს ამოვვალავ. — ჩუმი ხმით თქვა თალალამ,
ჩაიარა დაღმართი და დღის კიდურს მიეფარა. მე მარტო დავრჩი.
ვიგრძენი, გული გამაღებთ მიცემდა, სუნთქვა მეკვროდა. წყაროს
დავეწაფე, თუშცა, მახსოვს, წყალი სულაც არ მწყუროდა. ასევე
ხარბად, ღრმად ჩავისუნთქე გრილი ჰაერი. სიგარეტს მოვუკიდე და
ზედიზედ დავგპარი ნაფაზები.

თალალამ ბატონები ვაკეში გადმოქეჩა. გადავთვალე. თორმეტი
იყო. თვითონაც დაითვალა, მერე უკან გამობრუნდა, მაგრამ ჩემთან
ალარ მოვიდა. ქვევით გაცერა და ბოლოზე გამიარა.

- მოდი, სად მიხვალ? — ჩავძახე.
- შინ. სახლი უნდა დავალაგ.
- მერე, ბატონები?
- ძმას წამოვვალავ.
- არ გინდა. მე ვიქნები აქ.
- წვრილი წარბები მოკმუნხა და მწყურალად ამომხედა.
- ი, შენ აქ რა გინდა?
- ვიქნები, რა უშავს.
- არა, არ შაიძლებს. წადი!

სოფლის ხმა — ძახილ-ძუხილი უკვე გასცდა სოფელს, გაიშალა.
ხალხმა საქმეზე იწყო გადენა. თალალამ სოფლისაკენ გაიხედა და
ჩურჩულით ამომძახა:

- წადი... ჩქარა წადი!
- კარგი წავალ... და ხვალ მოვალ.
- აუჰ, — შეიცხადა ისევ, — რაად უნდა მახვიდ?
- მოვალ, — ჩავძახე სიცილით, — აი ბატონების მწყემსვაში
გიშველი.

თალალას შუბლი გაეხსნა, გრძელი, ოქროსფერი წამწამები აახმა-
ხამა და ეშმაკურად შემომცინა, მაგრამ არ მიპასუხა.

- მითხარი, მოვიდე? — გავახსენე ხელახლა.
- აი, თუ მართლა მიშველი, ჰო.

და უცხად მოწყდა ადგილს, სწრაფად გადაირბინა ფერდა, ხტუნ-
ვა-ხტუნვით. ჭრელი კახის ბოლომ პეპლის ფრთასავით გაიფრიალა
სერზე.

* * *


დედა ყოველდღე მსაყვედურობდა: მას უნდოდა ინსტიტუტში
წასვლამდე სულ გვერდით ვყოლოდი. — აი, დედაც, — ვეფიცებო-
დი ყელგადაგდებით, — ეს ერთხელაც და ხვალედან სულ შინ ვიქ-
ნები, — აღარსად აღარ წავალ. — მაგრამ ეს ფიცი დილას, სიწმარ-
თან ერთად ქრებოდა, მე კვლავ ვიდებდი ნათხოვარ თოფს და ისევ
„სანადიროდ“ მივდიოდი დედისპირა ტაფობში. იქ, ტაფობის თავში,
ტოტებგაშლილი ბებერი ქორაფის ქვეშ თალალა მდლოდებოდა. ეს
კარგი უშიშარი საფარი იყო, — აქ არავის შეეძლო ჩვენი დანახვა.
წესი და სოფელი კი უპირველესად ამას მოითხოვდა ჩვენგან. ზურ-
გიდან გაუვალი ტყვრი გვერტყა, სოფლის მხრიდან დიდგულები
გვფარავდა, გაღმადან — კოტად დამდგარი, ხშირტყიანი ფერდა...
ვისხედით და დაუსრულებლად ვსაუბრობდით. ბატონები წრეს შეკ-
რავდნენ ჩვენს ირგვლივ. დედეს ჩასდევდა ნაკადულის ნელი, თანა-
ბარი ჩქრიალი. ფაჩუნობდა ტყვრი. თალალა ათას სიანცეს იგონებ-
და, იცინოდა და მეც მაცინებდა. ამ საუბრიდან დღეს ერთი სიტყვაც
აღარ მახსოვს. ყველაფერი ეს ისე შემორჩა დღევანდლამდე ხსოვ-
ნას, როგორც უმცრად შეწვეტილი სიწმარეული მუსიკა.

ვიწრო იყო ეს გორებსშუა ჩამჭვრალი, დედისპირა ტაფობი.
მაგრამ ჩვენთვის მთელ სამყაროს უდრიდა. აქ იწყებოდა და აქვე
თავდებოდა ის, რაც გვქონდა და გვიწოდდა: გულწითელა ჩიტი ჩუ-
მი სტვენით გასძახოდა სადღაც უჩინრად მჭდარ გულისსწორს. ქო-
რაფი დინჯი რხევით გვაძლევდა დასტურს. მზე აჰქვეტავდა ფოთ-
ლებში — ჩვენ გვიღიმოდა. სადღაც გრძობით დღუღუნებდა ქედანი
— ჩვენ შეგვანატროდა. მერცხალი ლაღად ჰიკიკებდა ცაში — ჩვე-
ნი ხარობდა. ჰიუსში კიოდა არწივი — ხმას გვაწვდენდა შორით.
დრუბლის ქულა მიცურავდა ლაჟვარდში — ჩვენი იყო ისიც... ოთხი-
ვე მხრიდან მოქონდა ნიავს ეს ჯადოსნური ძალით დარბეული ბგე-



რები, მოწვეთავდა ფოთლებიდან, მოსონავდა ბალახის ყოველ დე-
როში და ერთ უწყვეტ მანგად უღერდა. ჩვენ ხარბად ვისმენდით
ჩვენი გულების შორით ძახილს, არ მახსოვს როდისმე ხელით შევხე-
ბოდით ერთმანეთს, არც სიყვარული გვიხსენებია სიტყვით. მხოლოდ
ერთხელ მოხდა, უკანასკნელ დღეს, როგორღაც ჩემდაუნებურად წა-
მომცდა. აი, როგორ იყოს ეს:

- შენ მტისმეტად ფუღული იყავი, თავმომწონე, — მითხრა
თალალამ.
- როს?
- როსა და მაშინ.
- ტყუილია.
- ტყუილ არა. ქალებ სრუ ვამბობდით. სრუ თავაწიულ დახვი-
დოდი, დიდურად. საუბარსაც არ ჰქადრობდი ჩვენთან.
- მაშინ ხო არც კი გიცნობდი.
- არ მაშ.
- ჰო, პატარა იყავი, ერთი ცუცქნა.
- ეეხლად?



— ახლა დიდი ხარ და... მიყვარხარ.

თალალა შეცბა. თვალღებში შიში ჩაუდგა.

— სუ, აბა, რას ამბობ?... დაჩუმდი... სირცხვილი! — დამტუქსა და თავი ჩაღუნა. შემდეგ რა მოხდა, ან როგორ მოხდა, აღარც მე მახსოვს...

— აი, ბარაქალა, თქვენ საქმეს, ბარაქალა!!!

ამ ხრინწიანი, მიმხრავალი ხმით ნათქვამმა გამოგვფხიზლა: თალალას მამა — თორღვა წამოგვდგომოდა შეუმჩნეველად. სწრაფად ვუშვით ხელი ერთმანეთს. თალალას სუსტი კივილი აღმოხდა. ორგენი წამოვდექით, — წამოვხტით. მაგრამ რაღა დროს, თორღვას უკვე კლანჭებში ვეჭირეთ. როგორც სვავი მტრედის ბარტყებს, ისე დაგვეუბრებდა მაღლიდან სისხლჩამღვარი თვალებით და მოკაუჭებულნი ცხვირით. ორმოცი წლის ახლავანი კაცი იყო თორღვა, კუბრით შავი უღვაშები ზევით ჰქონდა აგრებილი. უწყინარი კაცი იყო, მაგრამ თუ გაბრაზდებოდა, ლომივით ბრდღვინვა იცოდა. ტანზე ამბურძგლა. კარგად ვერ ვერკვეოდი, რა მოხდა, მაგრამ იმას კი ვგრძნობდი, რომ თალალას ცუდი რაღაც მოელოდა. მზერა გავაპარე, მარტო ჩემკენ მოქცეული მარჯვენა მკლავი დაფუნახე იდაყვს ქვემოდან, — მკვდრის ფერი ედო. მუხლებთან კანის ბოლო უხტოდა. თორღვა ადგილიდან არ იძვროდა, იდგა ცულისტარზე დაბჭენილი და მძიმედ ქშინავდა.

— შა, მაშ ეგრე, შა... ეგრე... კაი საქმეი, თქვენმა შუმე, — და უცხად იყვარა, თითქოს ბრაშმა გული გამოხეთქა:

— ვინ დაგაჩვია, ქალო, მალულიკაობას?! სად დაისწავლე?! ბატონები დაფრთხნენ, აიშალნენ და გაკვირვებით მიაშტერდნენ თორღვას. თალალას უფრო აუთამაშდა კანის ბოლო. მე გამარტოლება ვცაადე:

— რა მოხდა... ცუდი არაფერი გვიქნია?

— კრინტი... — პირში მწვდა თორღვა და გამომაჯავრა, — ცუდი არა გვიქნავს! იცითაი, რას ჰქვიათ ცუდი და კარგი? აი, თქვე... — სიტყვა გაუწყდა, ერთხანს ხრიალი და ქშენადა ისმოდა. მერე ისევ თალალას დააცხრა:

— რა გითხარ, შენ ქალო?

— მე? რაი, მამავ? — გაისმა თალალას მიმქარალი ხმა.

— რაი და, რისხვა შენი დაითხი აქით!

თალალა ბარბაცით გავფშორდა. ბატონებმა თანაგრძნობით გააყოლეს თვალი. პირისპირ შევრჩი თორღვას. ახედვას ვერ ვხედავდი. მაგრამ ვგრძნობდი: გამჭოლი, ცივი მზერა სახეს მისუსხავდა. არაფერს ამბობდა, მარტო ქშინავდა. უტბად ქორაფზე მიუღებულ თოფს მოჰკრა თვალი, ბუბუნით მივარდა, — თოფი... ტყეში... დიაცებთან... — დესტაცა ხელი წვერში და — ეიშს! — მთელი ძალით შემოახეთქა ხეს. ღულა ცალკე დარჩა, კონდახი — ცალკე. ნატებები ფეხებზე მომეყარა.

— აბა და, კლოვ... ხო მაგდის? ტალავარს დაგერი და უნიფხვოს გავლევ ხალხში... დიაცების ტყალაო, შენი!

ზურგე შემაქცია და გულმოსულმა განივრად გააბიჯა. ფეხის ერთი გადაბოტებით გადალაქა სერზე. სერი თითქოს დაიზნიქა ფეხქვეშ და მერე ნელნელა ამობურცა ზურგსუკან.

დიდხანს ვიდექი გაუნძრევლად. თანდათან დამეწმინდა აზრი, გამოვფხიზლდი. და პირველი, რაც შეიგრძნო გონებამ, იყო სამარცხვინოდ გატეხილი თოფი, რომელიც ჩემ ფეხებთან ეგდო და თითქოს ხაზს უსვამდა ჩემს უმწყობას. ნელა დავიხარე, ნატებები ავიღე და ხელში შევატრიალე: „როგორ მივიტანო შენი? რა ვუთხრა ხირჩლას?“ — და პასუხიც ზედვე მივაყოლე — წავიქციე და გადამიტყდა თქო.

* * *

თორღვას უზომო წყრომა მარტო კერპი ხასიათის ბრალი არ იყო, თავისი მიზეზი ჰქონდა: ეს ახალი „ბარული“ საქალავო წესი — წინასწარ დათქმული, საიდუმლო შეხვედრები, სრულიად მიუღებელი იყო თორღვას ბუნებისათვის, შეურაცხყოფდა მის ურყევ რწმენას: „სწორფერს რიდ უნდა ჰქონდას ერცხვისაი. ნდობას — სიუვარულს და ერთად ყოფას არავინ დაუშლის, მაგრამ ხალხში, თვალღვდვ, ჰირ-ღხინსა და ახალუხალში. ეს კი რაის ფერი ას? — მიხვარ-მავარებაი და მალულაობა ციციების საქმეი!“

ამ დღიდან ქვითკირის კედელივით ჩავვიდგა შუაში. აღარც თა-

ლალა გამოასედა კარში და აღარც მე გამაჭაჭანა თავის სახლის ას-ლომასლო. ბატონები სოფლის მშრალში დაურია და ქერში ჩადგა. დღეში რამდენჯერმე გადმოხედავდა ტაფობს, მიივლ-მიივლიდა, მოთვალთვრებდა, გადმოხრჩვავდა ყველა საეჭვო კუთხულს — მე დამეძებდა. მე ვალმა, ტყიან ფერდაში ვიჭეტი და ტყიან ვხედავდი ათასში ერთხელ თალალასაც მოკვრავდი თვალს სახლის გვერდით გამოსულს. არ ვიცოდი, რა მდგომარეობაში იყო და ვწუხდი, შეველა კი არაფერი შემეძლო. იმიტომ კი არა, რომ მეშინოდა, — სიყვარულმა შიში აღარ იცის, — არ ვიცოდი, რა იყო ეს, რა უნდა მომეყოლოდა შემდეგ, რას მოითხოვდა ჩემგან და რა უნდა გამეკეთებინა? — არაფერი არ ვიცოდი. თემ-სოფლის რიდიც მქონდა: ვათუ, თორღვას აესრულებინა თავისი მუჭარა, — გავმხილა. რას იტყოდა ხალხი? წარმოვიდგინე, რა მითქამ-მოთქამა, დაცინვა და რამდენი ქილიკი ლექსი მომყვებოდა ამას. და ეს უბრალო რამე არ იყო ჭაბუკის თავმოყვარეობისათვის. ამას რომ წარმოვიდგენდი, ტანში სირცხვილის ცივი ჟრუანტელი დამივლიდა.

ისევ ბინდისას ვბრუნდებოდი შინ. დედა კვლავ მსაყვედურობდა. მეც ჩვეულებრივ ვეფიცებოდი. მერე ვწევბოდი ბანზე. შევუბრებდი ვარსკვლავიან ცას და სასწაულს ველოდი: აი, გათენდება ბედნიერი დღე. შეჩავშნული მიფუნტები თორღვას, დავუღლეწავ ცხრაკლიტულს, გამოვიყვან მზეთუნახავ ასულს. მერე შემოვივსვამ ფრთოსან რაშზე და ავაფრენ ზეცის უსასრულობაში, ვარსკვლავებთან... იმედიანი იყო ეს ოცნება, მაგრამ არ ახდა. აგვისტო კი მიიწურა და ჩემი წასვლის დღე დადგა.

ჩემი წამოსვლის შემდეგ თალალა თურმე უცნაურად შეიცვალა, — გაკაპანდა, გაჭირვებულდა, დაიჩემა უმიზეზოდ ტირილი. ხოლო თორღვას ასეთი შემთხვევისათვის ხელთ ჰქონდა მამაპაპური ადათი, ძველთ-უძველესი და ლოდივით მკვრივი: „ქალს რა ქმარი მათუნდას, ჯალავთა ებუზღუნება. მაშ, პატრონს უნდა ჩააბარ, თორე შარცხენის მეტს არა უქადს გვარს. ნდობაი? სიყვარული? ეგ რაიდ ასატეხი ას, — სახსენებლადც არა ღირს, — ქალმ ქმარს უნდა უერთგულდეს და შეილებ დაზარდას. მორჩა და გათავდა!“

ამ ამბავსა მე შიგ გულში დამჭრა, მაგრამ ჭაბუკის გული მალე იჭრება და მალევე იყურება. გარდა ამისა, დროსა და გარემოსაც თავისი გააქვს.

ინსტიტუტი დავამთავრე. მერე სამი წელი სამხედრო სამსახურში გავატარე. ჯარიდან პირდაპირ სოფელში დავბრუნდი და ვეტქიმად დავიწყე მუშაობა.

დღისით ვერემბში ვარ, მთაში. დედის მინც არ ეღირსა ჩემი მუღმივად ფერდით ყოლა, მაგრამ აღარ მსაყვედურობს. მეც ყველანაირად ვცდებოდა, შევვსო ეს ნაკლი. საღამოს, დერეფანში, ცეცხლის პირას დავიდეგამ ჩიკას — სამეფნა სკამს და ჩემს მუშაობაზე ვესაუბრები, ან სტუდენტობის და რუსეთში ყოფნის ამბებს ვუყვები. ტკაცუნით იღველვება ნიგულვები. დერეფნის გაყოლებაზე ფურები წვანან და იცოხნებიან. ცეცხლზე ყურიანი ქვებით საკალტე ტკბის-ველი — შრატო დულს. დედა თავდახრბილი მისმენს, ჰრელ წინდას ჩაპირკიტებს. ცეცხლის მკრთალ შუქზე წითლად ელავენ სპილენძის ჩხრები.

— დიაცს როს მაიყვან? — მკითხა ერთ საღამოს.

ეს უპირველესი საქმე თითქმის დავიწყებული მქონდა. მხრები ავიჩიე და — ვიფიქრებ, — ვუთხარი.

დედამ საქსოვი გვერდზე გადალო. ცეცხლს ფიჩხი შეუმატა და შეანინათლა. მერე დამაშტერდა და გადაჭრით მომთხოვა:

— ფიქრის დრო აღარ ას. მე აი, დავბერდი... როსნამდე მარტო უნდა ვიყვ.

— რა ვიცი... ვინ მოვიყვანო?


ისევ აიღო ხელსაქმე, ნამატები გადათვალა და ქსოვა განაგრძო.

— ქალების მეტ რაი... ლამაზებიც არიან.

— მოვეწერები. რა მეჩქარება.

— როსაღ? შენებს სწორებს თავის სწორებ შეილები მყავ. *

დედა უკვე ჯავრობით მპასუხობდა, სწორედ ისე, როგორც ამ სუთმეტი წლის წინ, როცა რაღაცით უკმაყოფილო იყო ჩემით. დედის თვალში შვილი არასოდეს არ იზრდება და არც გული ძლება სიკეთით. მე გამეცინა, — მითხარი, ვინ მოგწონს და იმას მოვიყვანო თქო, — გავებუბრე.



— რა ვიცო, რამთვენი კა ქალი. — თითზე ახალი ფერადი გადაიხვია და ორორი თვალი გადასცვალა. — მე... მე ყველას თალადა მერჩივნა, მაგრამ აბა...

თალადას სახელის მოულოდნელმა ხსენებამ სადღაც მიჩხვლიტა, რაღაც ვიგრძენი გულში ურთ ტვივილივით. წამიერი შეკრთომა ისევ სიცილით და ხუმრობით დავფარე. — ქმრიანებთან რა ხელი გვაქვს, შენ სხვა თქვი, სხვა ვინმე გამოხახე. — ფანდურს გადავწვდი და მომართვა დავიწყე. მოვმართე და „სალექსო“ დავუყარი. დედა კი ისევ ჩუმად იყო, რაღაცას ფიქრობდა, საქსოვი გაუჩერდა ხელში. მერე ღრმად ამოიოხრა.

— ეებს, კარგა ქალა იყავ თალადაი, მაგრამ ბედ არ ექნ. ბედ

სიყვარულო გატაცებაც. ახალი სახელების გვერდით თანდათან გაფერმკრთალდა ძველი თალადა, გაიცრიცა და ბოლოს სულაც გაქარა. არავითარი მიზანი და განზრახვა არ მქონდა, მაგრამ ვერცხვით ვერ შევძელი ამ ბრმა სურვილის დაოკება, — არაფერიც არ შევძელი, არ მენახა.

მთიდან ხევს-ხევ წამოვდი, იმავე გზით, რომლითაც ამ ათიოდე წლის წინათ სოფლის სანახავად მოვიჩქაროდი. მაშინ დილა იყო, ახლა — საღამო და გუმანიც სულ სხვა მქონდა, — იქნება წყალზე მოვიდეს და ვნახოთქო. არც შევმცდარვარ, წყაროს პირას იჭდა ლოდზე, იდაყვდაურდნობილი ტაფობს ჩაჰყურებდა. თულუხი ლარისთვის მიედგა, წყალი წკანწკარით ჩადიოდა ყელში.



არცროს არ უწერავ კას ქალს... მამამისახლშიავ მაუნდა მამრუნვაი გუშინ მაუსხამ უმაწვილები.

უცბად ვერ მივხვდი, რას ამბობდა. ფანდური ისევ კუთხეში მივაყუდე. — როგორ, მამამისახლში, — ვკითხე. — მერე ქმარი?

— მაუკვდ.

— როდის, კაცო, რას ამბობ?

— არ ას დიდ ხანი, შენ მასულ არ იყავ ჭერ. — ისევ ჩაფიქრდა, გაირინდა და ცოტა ხნის შემდეგ ისევ ჩუმი ოხვრით დაუმატა:

— ძნელი ას ხელმართოდ ყოფი უმაწვილქალისად... ვიცო, გაძამიცდავ...

იმ ღამეს ვერ დავიძინე. უცნაურად ამფორიაქა თალადას ამბის გაგებაში. დღემდე თითქმის აღარც კი მახსოვდა. დავიწყებული მოულოდნელად აღსდგა და აღარ მომასვენა. მთელი ღამე წაღმა-უკულმა ვიტრიალე ლოგინში. დილას ასე წავედი ფერმაში. ასევე ვიყავი მთელი დღე. რა გინდა? — ვკითხებოდი ჩემს თავს, — რა საქმე გაქვს გათხოვილ, შვილებიან ქალთან? გიყვარს? — არა. მაშ რა გაშფოთებს? დედამ გაიხსენა იმიტომ, რომ ცხოვრების მარცხმა საკუთარი მარტოქალობის მწარე ხვედრი მოაგონა, მაგრამ გაიხსენა და დაივიწყა. მე კი რატომ ავიკვიატე და ვერ ვიშორებ თავიდან? რა მინდა? ვინ არის თალადა ჩემთვის ამჟამად? — არავინ. მართალია, იყო ოდესღაც რაღაც, ყველაფერიც იყო, მაგრამ რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ. ავე მეთვე წელიწადი დადგა. სად არ ვიყავი ამ ხნის მანძილზე და ვინ არ ვნახე. რა დასამაღია და ხშირი იყო სა-

ფების ხმაზე მოიხედა და წამოდგა. თალხი კაბა ეცვა და თალხი თავშალი ეხვია. მაგრამ გლოვის ნიშნად კი არა, — გათხოვილი ქალები საერთოდ აღარ იცვამენ ჭრელ-ჭრულეებს; თითქოს თავიდანვე მგლოვიარობას იწყებენ. სიმაღლეში გაზრდილიყო ოდნავ; ფერმკრთალ სახეზე დაღლილობა ემჩნეოდა, მაგრამ არც უწინდელი სინაზე დაჰკარგვოდა. თვალებიც ისევ უღრუბლო ლაჰვარდევით უბრწყინავდა. საღამაზე უხმოდ დამიკრა თავი, ხელები მოწყვეტით ჩამოუშვა და ისევ ქვევით გაიხედა. ძირს, ხეობის სიღრმეში, ნისლი ბოჟირობდა.

აქეთობას გული გამაღებით ვიცემდა: რაღაც უცნაურს, უჩვეულოს მოველოდი. არაფერი არ მოხდა, არც კი შეკრთა, როგორღაც უკმაყოფილოდ შემომხედა და თვალი აშარიდა. უცბად ვიგრძენი მთელი დღის აკვიატებული სურვილის უაზრობა. მაინც ვკითხე:

— რას უყურებ ასე დაჟინებით?

— არცრას, ჭალას ჩავხედავ. — თქვა ნელა. თანდათან ზევით შემოაყოლა თვალი და მზერა ქორაფზე შეაჩერა. დიდხანს უყურა, მერე შემომხედა, გაიღიმა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— წავიდ ის დრო... აღარ დაბრუნდების...

სოფელში ნახირი შემოდიოდა. ხალხი საუბრით ბრუნდებოდა სამუშაოდან. ჭალა ჩამუქდა. ნისლი გორის ფრთას აჰყვა და ჭიუხზე დაიქნდა.

— მაინც... რა მოხდა? როგორ მოხდა?

თავს ძალა დავატანე და ვკითხე, რადგან უხერხული იყო არ კითხვა.

— არცრა. ავად იყვა და მაკვდა. — მომიგო წყნარად და აუღელვებლად.

— საწყენია, — ვთქვი მე, — რას იზამ, უნდა გაუძლო. ვერაფერს უშვებო. — სახეზე ცივი, არაფრისმთქმელი ღიმილი გაუკრთა. მერე გაიცინა, — მიკვირს, — თქვა.

— რა გიკვირს?

— არცრაი, — ღარს სახეზე თულუხი გამოაცალა, თავი გადაუქცია და ქვაზე შემოღვა. სახეზე ისევ ცივი ღიმილი ეხატა.

— სიკვდილი მაინც ძნელია, — ვთქვი კვლავ.

— ოღონდაც, — ჩამომართვა, — მაგრამ ზოგჯერ, ზოგჯერ კი — არ. — თლილი, სანთლისფერი თითებით თავშლის ფუნჯები მოწიწა და დაასრულა: — ზოგჯერ სანატრელიც ას, დახვეწებს კაცი, მაშჩების დარდს, წუხილს, ჭავრსა და წყენას... აღარც სხვას შააწუხებს, აღარც თავისთავს.

ისე იგონებდა გარდაცვლილ ქმარს, როგორც შორეულ ამბავს. ლაპარაკობდა სრულიად დინჯად და დაუდევრად, თითქოს ამით ნიშნს უგებდა ვიღაცას. შევეყურებდი მის გულგრილ სახეს, ვუგაღებდი ყურს და ვფიქრობდი: „რა ქმნის ამ უსასრულო სიშორეს? აქედან ხომ არ მოდის ქმრის არდატირების უცნაური წესი?..“ ვინ იცის, სალ კლდეხვით უტეხია სიყვარულში ქალის პაწია გული. ჩაგყვება, მაგრამ არ დაგემორჩილება. მოვალეობა ახსოვს და შენ — არა. ძალას დაატან და კიდევ უარესი, — ზღარბად იქცევა, ეკლიან ზღარბად და აღარც წყენას გაიკარებს, აღარც სიხარულს.

სათქმელი ამოიწურა და ჩამოვარდა უხერხული სიჩუმე. მთებზე ერთმანეთის მიყოლებით გაქრა მეწამული ლაქები. ბინდმა აავსო ქალა და ფშვინვით შემოწვა ტაფობში. ბავშვების უღურტულმა გვიხსნა. ქერა გოგონას ორი, ასეთივე ლოყებდაუღაუა, ჩაფსკვნილი ბიჭი მოსდევდა მუქარით. დიდი ფიჭვი არ დამჭირვებია მათ ამოსაცნობად, დანახვისთანავე მივხვდი. გოგონამ კისკისით მიირბინა დედასთან, კაბის ბოლოში ჩაეჭიდა და ქვეშ-ქვეშ გამომხედა. ბიჭებმაც თვალი შემასწრეს და გაინახნენ, მეორე მხრიდან ამოუდგნენ დედას.

„ჩემი პატარა სიყრმის გოგონა...“

დედა გამხდარა სამი ქალ-ვაჟის.“

ეს ჩემთვის გავიფიქრე, ხმამალა კი ვკითხე:

— შვილები ხომ გიყვარს?

მწყრალად შემომხედა.

— ნიდაგ... შვილები ნიდაგ უყვარს დედას! — აჩქარებით თქვა, თითქოს ეშინია, არავინ წამედანოსო. ხელები მოხვია სამივეს. — მებრალეებიან, — დაუმატა გაუბედავად და გაჩუმდა.


უცბად რაღაც მოუსვენრობამ მოიცვა, მხრები აუთამაშდა, მიდგომოდგა, უსიტყვოდ მიეფერა შვილებს ხელებით, — თავზე მხრებზე, სახეზე უსვამდა. თითები ავადმყოფურად ეკრუნხებოდა. ჩანდა, რაღაც აწუხებდა, რაღაც იყო კიდევ, რის გამხელაც არ უნდოდა. თითქოს ამ აჩქარებული მოძრაობით ცდილობდა დაფარვას. ბოლომდე ვერ გაუძლო მოწოლილ ბოლმას. გულში წლობით ნაგუბარმა, უთქმელმა საყვედურმა თავისით გადმოხეთქა, დაიმორჩილა ენა. წელში გასწორდა, თვალები მოიწმინდა და ცრემლნარევი, მკენესარე ხმით განაგრძო:

— დიად, მე მიყვარან ესენი. შვილებია და მიყვარან. ყველაზე, ყველა დედაზე ძალიან მიყვარან. მებრალეებიან და მიყვარან... გულს მაკლავ, ის არ ვარ, რაიც უნდა ვიყვ... — ძალას ატანდა, მაგრამ ენას ვეღარ იმორჩილებდა. — ზოგჯერ არც კი მგონავ, თუ ჩემები ას. თითქოს სხვაგვით მავიდეს და შამამეხიზნეს... ვიცი, არ ვარ მართალი, არ ვარ სრული... ნახევარ დედაი ვარ...

ისევ ჩაუწყდა ხმა, დაიხარა და ისევ გულზე მიიკრა სამივენი.

ვერადრის თქმა ვერ მოვახერხე. ან რა უნდა მეთქვა? ნუგეში არ შემძლო. რჩევა-შეგონება სრულიად უადგილო იყო. ნელა, ფხაკარეფით გავშორდი. მას არ გაუგია ჩემი წამოსვლა. ქვევიდან შევხედე: ისევ ისე იდგა დახრილი, ხელებით ეფერებოდა შვილებს. და მე გავიგონე ყრუ, შეკავებული ქვითინით ნათქვამი:

— ამათ მოუკვდეს დედაი.



თუ გინდა, არ იგრძნო, როგორ უყის ქარში, ატრიალებს თოვლს და მათრახებით ურტყამს კარვის კალთას, უნდა დასუფთავებული და წაიფარო თავზე.

მართ ხუტავს თვალებს, თავს ნაბდის ქვეშ მალავს და ემზადება ნახოს სიზმარი:

აი, ავიდა მყინვარწვერზე. ხევის პატარძალი ძალიან თეორია და ცივი. მაროს დიდი, წითელი ყვავილები უჭირავს, გუშინ რომ დაკრიფა დაბლა ბანაკში, სათითაოდ უშლის ფეხთით მთის ასულს და თავადაც იჩოქებს.

მყინვარწვერი ხმას არ იღებს. ის ამყაია და უკარება, მაგრამ მაინც გრძნობს, რისთვის მოვიდა მასთან ქალიშვილი. ქალიშვილი არაფერს არ თხოულობს. ის კმაყოფილია მაშინაც, თუ ხმას არ გასცემენ. მას უყვარს სიჩუმე, როდესაც უფრო ძლიერდება საკუთარი გულის ხმა... ქალიშვილი ნელნელა დგება და იხედება დაბლა, სადაცაა უსასრულო ნაპრალები, მოცისფრო, ათასწლოვანი ყინულები და მზეზე მოელვარე, ხელუხლებელი თოვლი. თვალი ვერ უძლებს ტკივილს და ნელნელა იღება. ქრება სიზმარი, რომელიც წარმოდგენით მოვიდა მხოლოდ. მაროს გვერდით, ნაბდებში გახვეული, ალბათ, მასავით ელიან სიზმრებს. კარგებთან დროდადრო ყრუდ ასველებს მეგზური იაგორა.

სიცოცხლე მოუჭირა. გაფუჭდა ამინდი. იკარგება მყინვარწვერზე ასკლის იმედი. ასეთ ამინდში იაგორა არასოდეს არ გაპყლია მეგზურად მთასვლელს. მაშინ მთასვლელობას უცხოელები ისაკუთრებდნენ. მაშინ საქართვლოს ამ ლამაზ მთებს ქართვლის ფეხის სიმძიმე არ უგრძენიათ.

დღეს პირველად იაგორა 18 ქართველს წაიყვანს ხევის პატარძალთან. დღეს, ინათებს თუ არა, ეს დიდი ჯგუფი მთის გათვრებულ შევეულ კედლებს დაევიდება და იაგორა ბებერი ხელებით მათ საფეხურებს გამოუჭრის. იაგორა ლეკვებს გადმოსძახებს ზემოდან და როცა დადლილ მთასვლელებს ეგონებათ, რომ წინ ნაბიჯსაც ვეღარ წადგამენ, იაგორა ლომივით ირიალებს: „ჩვენია, ჩვენი პატარძალი,“ და მთის ასულის ხელუხლებელ კალთას 18 წყვილი ხელი მოველებს.

მთასვლელები ახალგაზრდები არიან. ბევრ ჭაბუკს ღინღლი ახლად ამოსვლია. თბილისელი სტუდენტები და სპორტსაზოგადოება „შვეარდენის“ წევრები უნივერსიტეტის დოცენტის, გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით საბჭოთა ალპინიზმის ისტორიას იწყებენ.

დილის 3 საათზე იღვიძებს ბანაკი. იაგორა ამბობს:

— დასავლეთის ძლიერი ქარი ცუდი ამინდის მომასწავებელია. შეიძლება ყველანი დავიღუპოთ.

მაშინ დგება ასმათ ნიკოლაიშვილი, მიდის კარავში მოთავსებულ ნახევარდღანგრეულ ფიცრულთან. ეს ფიცრული ძველად დაუდგამთ მთასვლელებს. ადის ასმათი მაღლა და წერს:

„მოვარჯიშენი, მათ შორის ხუთი და, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, 28 მარამობის-თვეს აველით მყინვარწვერზე“.

ახლა აღარ შეიძლება უკან დახვევა. 18 მოლაშქრე შევებით სუნთქავს და ზურგჩანთა-

კიდებულები რიგრიგობით ტოვებენ კარავს. ფერდობზე გამთენიისას შავად იკვეთება სილუეტები. თანაბარი ნაბიჯით, ოდნავ წინწახრილები მიყვებიან იაკორას. აი, მივადნენ იმ ადგილას, სადაც ორი შვეული კლდე ოდნავ გადაწეულა დევდორაკის მყინვარისაკენ. თეთრ მიდამოში ეს ორი კლდე შავად დგას, როგორც დევდორაკის გუშაგები. იწყება გადასვლა ფირ-

და ისე გადააქვთ ფეხი წინ, განთავისუფლებულ ნაკიბურში. წრიბაის კბილები ყინულში რომ მაგრად ჩაერჭოს, აბიჯებენ მთელი სიძლიერით. იწყება სამიში გზა. აღმართი თითქმის ვერტიკალურია, ქვემოთ კი, ფირნის ველის გარშემო, არის პირდაღებული დევდორაკის უფსკრული. იაკორა ჩერდება. ის დაღლილია საფეხურების ჭრისგან და თხოვს ყველას დაბრუნდნენ, რადგან ასეთ ციცაბოზე უკან დაბრუნება ძნელი იქნება, თუ არ გააკეთეს იდეალური საფეხურები. და მაშინ იაკორას ესმარებიან სხვები. წინ ინაცვლებს ასმათ ნიკოლაიშვილი, ჭრის ყინულს და ავიწყდება ძილი.

ქალების სიყოჩაღე ყველას აკვირვებს. იაკორა ზოგჯერ ხმას აუწევს და ყვირის: — მანდ ნუ მიდიხარ, ქალაუ, გონჯი გზაა და დაიღუპები.

ქალები იაკორას ყინულის ჭრამი რიგრიგობით შეგლიან.

— ავედით, — ყვირის სულ პირველი და არბის ზემოთ. მას მიჰყვებიან სხვები, ყვირიან, კოცნიან, ესვევიან ერთმანეთს. ის საოცარი სილამაზე, რომლის სილამაზეც ასე ელოდნენ, წაიშალა ღრუბლებით და ნისლით. ისინი დგანან მწვერვალზე, რომლის ფართობი მხოლოდ ექვსი მეტრია და გრძობენ მთების მორჩილებას.

1923 წლის 28 აგვისტოს აქ, ამ მწვერვალზე იშენენ ქართველი ალპინისტები. ხუთი კი მათ შორის ქალი იყო. მარო ბეჟანიშვილი, ელენე ლორთქიფანიძე, ასმათ ნიკოლაიშვილი, მარო ტყავაძე, ლიდა ჩხეიძე. მოხვევებმა მარო ტყავაძე „მარი პალონად“ მონათლეს. „მარი პალონასავით ყოჩაღად დადისო“. ეს იყო რუსი მასწავლებელი მარიამ პრეობრაჟენსკაია, რომელიც 1901 წელს ავიდა მყინვარწვერზე

ლია ჩაბუთაძე

თავდაღმართში მოწყვეტილ მიჭრიან თხილამურები. ქალს ეჩვენება, რომ ის მთაშია და წინ შეხვდება სამიში დაღმართი. ქალი მიჩვეულია მთის შვეულ კედლებზე ცოცვას და ენატრება ჩასაფრებული ნაპრალი. სურვილს ვერ უსრულებს რუსეთის ვრცელი ველი, რომელსაც თოვლის ქვეშ სძინავს და აღვიძებენ თხილამურები.

ქალი ჩერდება და ამომავალ მზეს უმჯერის შავი სათვალეებიდან. ქალი ყოველ დილას აქ ხედება მზეს და უყვება წინა დღის საქმეებს. ქალი სამხრეთელია და ახლოს არის მზესთან. ქალი მზეს თითქოს კიდევ მისწვდა იალბუზიდან, ბელუხადან, ალიბეიდან, სოფრუჯუდან. მათ აქვთ ძველი მეგობრობა და ამიტომ ქალი ვალდებულია უთხრას ყველაფერი.

გუშინ მას ჰქონდა მღვლეარე დღე. გუშინ მოსკოვ-ვოლგის არხის ავტომატური ჰიდროსადგურის მშენებლებმა მოათავეს უკანასკნელი სამუშაოები. ღამით მან ერთერთ ინჟინერთან ერთად გასინჯა ყველაფერი, შემოშვა სქემები. დენის ჩაურთველად მათ აამუშავეს ყველა ხელსაწყო და ამას დასჭირდა 4 საათი. ხელსაწყოები მუშაობდნენ ზუსტად, გამოანგარიშების მიხედვით. მოლოდინის ყოველი წუთი ისე აჩერებდა ძარღვებში სისხლს, რომ როცა ხელსაწყო დგებოდა მწყობრში, ქალი ძლიერ ახერხებდა ყვირილს „არის“ „არის“.

მზე მაღლა-მაღლა იწევს. მზე თითქოს გამოფლია და გულუხვად არიგებს სხივებს. ეს სხივები თოვლიდან ირეკლება და სახესუხედება ქალს. თხილამურები ველზე მისრიალივინ ნელ-ნელა. სისწრაფეს აღარაქვს მნიშვნელობა, რადგან მღვლეარება თითქმის სულ გაქრა. თოვლზე ყოველი დილის გასეირნება საოცრად აწყნარებს ნერვებს და ეს სიმშვიდე მთელი დღე ყოფნის. ამიტომ არის, რომ ხმას არ უწევს ჰიდროინჟინერი მშენებლობაზე და მუშებს უკვირთ, ასე მშვიდ ქალს რატომ გაუთეთრდა თმები ახალგაზრდობაში.

მაშინ კი, დიპლომი ჯიბეში რომ ჩაიდო და პირველად ატარისწყლის ჰიდროსადგურის მშენებლობაზე დადგა, მახუნცეთელებმა გოგოდ ჩათვალეს და ბევრმა ძველმა ატარელმა შარვლიან „ქალა-ბიჭის“ მტრულად დაუწყო ცქერა. შვილებს გაგვირყვინსო, — ბუტბუტებდნენ ზოგიერთები, როცა ხედავდნენ, როგორ თამაშობდა ფეხბურთს ახალგაზრდა ინჟინერი. მან მოთამაშეთა გუნდები ჩამოაყალიბა და ახლა ჩადრინანი ქალების თვალები მოეწონა. ატარლები აღშფოთდნენ, ჩადრის გადახედებას ურჩევს ჩვენს ქალებს და ერთხელ ტყეში მიმავალს იარაღით დაუხვდნენ.

შემდეგ სომხეთში, კანაკორგორასპესზე გადამცემ საზეხის ამონტაჟებდა, ჩამოკედებოდა მუშებთან ერთად ანძის კიბეზე და სომხურად იწყებდა ლაპარაკს. ქვემოთ მატარებელი დაიკვირებდა, მგზავრები გამოკყოფდნენ თავს. ქალი ხელით გაღიწვდა თმას, შუბლზე დაიმჩნევდა მარჯუთიან ნათითურებს, წამოდგებოდა, წელზე გაისწორებდა ქამარს და ბოლო ვაგონებს შემობრუნებული გახვდავდა.

1934 წელი იწყება მოსკოვ-ვოლგის არხის მშენებლობა. მასზე იმუშავენ 9 ჰიდროსადგური და მათ შორის სამი ავტომატური იქნება. დაატერ ლილაკს ხელს, გაიხსნება რაბი, გადმოვა წყალი, აამუშავენს ტურბინს, ამუშავდება გენერატორი, შეიქმნება დენი...

პირველი საბჭოთა ავტომატური ჰიდროსადგურის აგების ნატვრამ დაატოვებინა მაშინ მარო ტყავაძეს საქართველო.

გავიდა სამი წელი. ჰიდროსადგური მზადაა. დღეს არის მღვლეარე დღე — უნდა შეამოწონ მისი ნამუშევარი.

ქალი იხსნის თხილამურებს და ფეხით მიდის მშენებლობისკენ, სადაც ელოდება კომისია. ის ისე მშვიდია, რომ ეკითხებიან:

— ნუთუ, არ ღელავთ? მარო დარწმუნებულია — დაატერენ ლილაკს ხელს, გაიხსნება რაბი, გადმოვა წყალი, ამუშავდება ტურბინი, ამუშავდება გენერატორი, შეიქმნება დენი..

მარო ტყავაძეს მწვერვალების გარდა უყვარს ლია რაბების ცქერა.

ხაბუის ჩრილქვე

რამხელა დაიზარდნენ ხეები! როგორ გაფართოვდა ჩერობები!

მას კი ეგონა, რომ ამ ხეთა ჩრდილს ვერ მოესწრებოდა. აქ რომ მოვიდა, ერთი ხე არ უნახავს და ერთი ქუჩა.



ალპინისტი ქალები, რომლებიც 1923 წელს ავიდნენ მყინვარწვერზე. (პირველი რიგში) მარცხნიდან პირველი დგას — მარო ტყავაძე.

ნის ველზე. სიტყვა ფირნი გაყინულ ველს ნიშნავს. ველი დაფარულია ათასწლოვანი ყინულითა და თოვლით.

ადიან კონუსზე, სადაც სამი წელია არ დადგმულა ადამიანის ფეხი. ჯერჯერობით თოვლი რბილია და შეიძლება სიარული. მთავარი დასაყრდენი წერაყინია. წერაყინს ასობენ მარჯვნივ, ყინულის კედელში, მერე ებჯინებიან მას

— იქ უნდა აშენდეს ქალაქი, წადი და ააშენე, — უთხრეს მას და გამოგზავნეს საქართველოში. რუსეთში გატარებული მრავალი წელი, მონაწილეობა ბაქსანბეისის ჰიდროსადგურის აღდგენაში, ურალთან ბელორეცკის ჰიდროსადგურის ამუშავებაში, ლენინგრადთან სვირბესის მწყობრში ჩაყენებაში იყო ბრწყინვალე და ღირსშესანიშნავი მის სამშენებლო საქმიანობაში. მაგრამ ასეული წლების იქით მიწის პირისგან აღგვილი ქალაქის ადგილზე ახალი მეტალურგიული ქალაქის გაშენება, მიწის ამობრუნება და პირველი ანძების ჩამორიგება იყო მისი ახალი გატაცება. თბოელექტროცენტრალი, რომელმაც მისცა ენერჯია უზარმაზარ მეტალურგიულ გიგანტს, მის ხელეში დაიბადა და მას, რომელსაც მოსვლისას არ დახვედრია არცერთი ბურქი და არცერთი ქურა, დღეს, პენსიაზე გასულს, ვერ ეტყვი, დასტოვოს ეს ქალაქი და აირჩიოს სხვა, რომელიც სურს.

ეს არის მისი ქალაქი და მას, დეპუტატს, აღელვებს არა მარტო ჯანმრთელობის, სოც-უზრუნველყოფის და სპორტის საკითხები, რაც ქალაქის საბჭომ ჩააბარა, არამედ ყველაფერი, რასაც ქალაქში ხედავს. აღელვებს, როცა გადარბის ბავშვი უმეტველყუროდ ქუჩას, როცა ლაპარაკობენ ბიჭები უწმარად, როცა შორდებიან შეყვარებულები ერთმანეთს, როცა არ ემეტება ზოგიერთს ღიმილი და კეთილი სიტყვა.

და მარო ტყავაძე ჩრდილქვეშ ეძებს მოთამაშე ბავშვებს, ხელჩაკიდებულ შეყვარებულებს, სკამებზე ჩამომსხდარ პენსიონერებს, სიკეთითა და ღიმილით საგვს სახეებს.

რუსთავი მისი საყვარელი ქალაქია და მარო საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილ ბიბლიოთეკას სარქურად აძლევს ნი წიგნს; მას ახალგაზრდობა აკყავს კავკასიონის მწვერვალებზე, ის დადის ამომრჩეველებთან და უსმენს, როგორ ცხოვრობენ, რა აწუხებთ; ის აყალიბებს ხანდაზმულ ქალთა სპორტულ წრეს და მოვარჯიშეები მიჰყავს იარაღებთან. მას აქვს ყოველდღიური სამუშაო გეგმა და არასოდეს არ არის თავისუფალი.

მყინვარწყვირისაკენ



კვლავ მოებში



1963 წლის შემოდგომა. მარო დგას ხის ჩრდილში და უცდის ავტობუსს. მას აქვს სულ თეთრი თმა და არის სამოცი წლის. ის ახლახან ჩატარებული დიდი იუბილის მონაწილეა და გაზეთებმა დაბეჭდეს საქართველოში ალბინიზმის ორმოცი წლისთავის შესახებ. იუბილის დღეებში მარო ტყავაძემ გვირგვინით შეამკო სახელოვანი მთასვლელის ალიოშა ჯაფარიძის საფლავი, დიდუბის პანთონში გვირგვინი მიიტანა მყინვარწყვირზე პირველი ასკლის ხელმძღვანელის — პროფესორ გიორგი ნიკოლაძის პატივსაცემად, მონაწილეობდა ყაზბეგში გამართულ საიუბილეო მიტინგში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდებთან ერთად კვლავ ავიდა მყინვარწყვირზე.

იმ დღეების განწყობილება ჯერ ახალია და ძლიერი, მაგრამ მაროსთვის შთაბეჭდილება, შორეულიც კი, არასოდეს ფერმკრთალდება.

ლია კაკაბაძე



გარეთ წვიმს და ცივა. ფერადი მანქანები ქუჩაში გარბიან...

კლუბში სითბოა. კოპიტის შეშა ტკაცუნობს. სახალხო თეატრის მსახიობები სავარძელში ჩამსხდარან და გულიანად იცინიან. თეატრში დასადგმელად მზადდება „მე, ბე-ბია, ილიკო და ილარიონი...“

— რაღას ვუყურებთ, დავიწყით!
— „ბეზიას“ შემსრულებელი არ მოსულა, ცოტა ხანი დავიცადოთ...

მარგო წინკარში იღიმებოდა. მიმზიდველი ღიმილი, ოდნავ შეთეთრებული თმა და გაბზარული ხმა.

მარგო გოგოსაშვილი სულ პატარა მოვიდა მუშათა კლუბში. მარგო კისკისა იყო მაშინ...

ჭიპურში გვარდიელები დახვრიტეს. რეკომის შენობაზე წითელი დროშა აფრიალდა. ლაგოდნელებმა ჭვარტლიანი ქოხებიდან გარეთ გამოიხედეს. ბევრს სწამდა ახალი ცხოვრების დაწყება... მაგრამ ურწმუნონიც იყვნენ აქა-იქ.

თებერვლის თბილმა ქარებმა ნუშის კვირტები ნაადრევად გააღიბა. პირველი ბოლშევიკური გაზაფხული ალაზნის ველიდან კავკასიონის კალთებისაკენ მიიწვება.

ყამირზე ცენტრიდან საგანგებოდ გამოგზავნილი ტრაქტორი ავუგუნდა. თუშურქუდიანი გლეხი უკვე უნდოდ შეპყურებდა გაძვალტყავებულ ლაფშას. ცხენი მეორე დღესვე კაბლელ ლეკს მიჰყიდა და არტელში მისაღები განცხადება დააწერინა მეზობელს...

მუშაობისგან წელში გაწყვეტილი სცენის მოყვარეები საღამოობით მუშათა კლუბში იკრიბებოდნენ. წარმოდგენის გამართვას აპირებდნენ ლაგოდნელები. ქალები სათოფეთ არ ეკარებოდნენ სცენას, მაგრამ მარგო გოგოსაშვილი და ელენე ზორიანიც მაინც ჩაეწერნენ სცენის მოყვარეთა დასში. სახელდახელოდ მომზადებული „ქრისტიანე“ მაყურებელს ელოდა.

მესრებსა და კედლებზე ხელნაწერი აფიშები გაჩნდა. გლეხები წუთით ჩერდებოდნენ აფიშების წინ, ირონიულად იღიმებოდნენ და ხელის ჩაქნევით შინ მიდიოდნენ. სპექტაკლი კინალამ ჩაიშალა. მხოლოდ რამდენიმე კაცი იჯდა დარბაზში. ისინი განცვიფრებული შეპყურებდნენ მსახიობებს... ლაგოდნელებს მანამდე არ ენახათ ასეთი რამ.

— გაიგე კაცო, წუხელ კლუბში რა მომხდარა?

— კრება იქნებოდა, არა?
— რომელ კრებაზე მელაპარაკები. ჩვენებს პიესა დაუდგამთ და ხალხი აუტირებიათ.

— რას ამბობ!
— აბა!
— წავსულვართ და ეგ არი. ბილეთები ძვირია?
— ნუ...

ფარდას იქით მსახიობები ღელავდნენ, დარბაზში კი მაყურებელი ტაშით აზანზარებდა კლუბის შენობას. მარგო გოგოსაშვილი იმ დღესაც პატარა გოგონას როლს ასრულებდა.

...როცა მორალურად განადგურებული ქრისტიანე სცენაზე შემოვიდა, მარგო გოგოსაშვილმა ტირილი ველარ შეიმაგრა, ელენე ზორიანცმა კი ძონძებში ძლივს დამალა ცრემლები. ველარცერთი გმირი ხმას ვეღარ იღებდა, პიესა ბეწვზე გადარჩა — დარბაზში მანდილოსნების ქვეითინი გაისმა და ფარდა დაუშვეს.

...მსახიობები შემსრულებლებიც იყვნენ და დეკორაციული ესკიზების ავტორებიც. პიესებს მუსიკალურადაც თვითონვე აფორმებდნენ. დასს არ ჰყავდა რეჟისორი. ასე დაიდგა „ირინეს ბედნიერება“, „№ 21 ჯვრით“, „არშინ მალაღან“.

30-იან წლებში სცენისმოყვარეებს რეჟისორად მიხეილ იარალი მოეველინათ. საქმე წინ წავიდა. შემსრულებელთა ოსტატობა დაიხვეწა.

საქმე უკვე პროფესიონალურ შემსრულებლებთან გვექონდა, ყოველშემთხვევაში, მათი შესრულების ოსტატობა ამაზე მეტყველებდა.

რეჟისორის ხელი მალე დაეტყო სცენისმოყვარეებს, „ხატიჯეს“ უფრო მეტი მაყურებელი ჰყავდა, ვიდრე „ქრისტიანეს“. „ელენონორას“ პრემიერაზე ნემსი არ ჩავარდებოდა დარბაზში. დასს მალე ნადია ზურაბიშვილი შეემატა. ნიჭიერი მსახიობი მაშინვე მთავარ როლში გამოიყვანეს. ზაირას როლი შანშიაშვილის „ანზორში“ ზურაბიშვილის დებიუტი იყო.

ერთ დღეს კლუბის ძველი შენობა დაანგრიეს და უკვე რაიონში სახელმობხვევილი დასი ახალ შენობაში გადავიდა.

ეს იყო 1937 წელს.

მესრებიდან და კედლებიდან გაქრა ხელნაწერი აფიშები. სტამბებში დიდი წითელი ასოებით დაიწყო აფიშების ბეჭდვა. მსახიობების ოჯახს ტასო ერისთავი შეემატა. „ვერაგობა და სიყვარული“ სახელმწიფო თეატრის პირველი დადგმა იყო. „კოლმეურნის ქორწინებამ“ იმდენად მოხიბლა მაყურებელი, რომ პიესა კარგახანს აღარ მოსორებია სცენას.



ახალგაზრდა სცენისმოყვარე — შ ა რ ი ქ ა ძ ე .



„კაცია-ადამიანი?!“ ლამაზისეული (მარ)

საქონელი



„ციცია“. ციცია—ლ. ზურაბიშვილი

ბეუა—გ. მირიანაშვილი.



„ელენორა“

ელენორა—მ. გოგოხაშვილი, ასლან გირეი—ვ. კახელი.



„კაცია-ადამიანი?“

„ხორეშანი“—მ. გოგოხაშვილი, ელისაბედი—ფ. მირიანაშვილი.



გვნივ)—თ. წერეთელი,



„მე, ბეზია, ილიკო და ილარიონი“.

მერი—ლ. ლუჩმაშვილი.

რაიონის გაზეთებში გაჩნდა პირველი რეცენზია. თეატრის დასი სოფლებში გავიდა საგასტროლოდ. ლელიანლებმა, ვარდისუბნელებმა და თამარიანელებმა გულით შეიყვარეს მსახიობები. ყარსუბნელებმა, კახალელებმა საყვედურის წერილი გამოუგზავნეს თეატრის ადმინისტრაციას — ჩვენ რაღა დავაშავეთო!

ომი... დასი მთელი დატვირთვით მუშაობს. დასს მამაკაცები შემოაკლდა. ქალები მამაკაცების როლს ასრულებენ თეატრშიც და მეურნეობაშიც.

თეატრის შენობაში სამხედრო ჰოსპიტალი გახსნეს. თეატრი სოფელ აფენში გადავიდა.

თეატრი კვლავ ცოცხლობდა. ახალ-ახალი სიხარული და გამარჯვება მოჰქონდა ყოველ პრემიერას.

„ბაში-აჩუკის“, „მოკვეთილის“ და „სად-გურის უფროსის“ დადგამა დასს ნიჭიერი კოლექტივის სახელი მოუხვეჭა. თეატრის რეჟისორმა, საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა რობერტ ქართველშვილმა საამისოდ ბევრი რამ გააკეთა. ომის დამთავრების შემდეგ თეატრის დასი მედლებით და სიგელებით დააჯილდოვეს — ზურგში მამაცური შრომისათვის.

50-იან წლებში სახელმწიფო თეატრი გაუქმდა. დასი არ დაშლილა, საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა სახალხო თეატრი. ...ვეტექიმმა მედეა შუბლაძემ ლაბორატორიის კარები გამოკეტა და შინ არ შებრუნებულა სასაუზმოდ, პირდაპირ თეატრისაკენ გაეშურა. გზაში მერი მესხიშვილი წამოეწია.

— არ დაგავგიანდეს, ვიქპაროთ! — თქვა მერიმ.

— რაო, ჩემზე გაჯავრებულია რეჟისორი?

— რა მოგივიდა, რატომ გაცდინე რეპეტიცია? ხომ იცი, დედაქალაქში მივემგზავრებოთ. თბილისელი მკურნებელი შენც კარგად მოგვხსენებ...

ახალგაზრდები სამუშაოდან პირდაპირ თეატრში მიდიოდნენ. სახალხო თეატრის რეჟისორად გამოცდილი მსახიობი ვახტანგ თანდაშვილი დანიშნეს. კანდელაკის პეისას — „ერთხელ დახოცილებს“ ამზადებდნენ.

...თბილისი. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი. სპექტაკლს დიდძალი ხალხი დაესწრო. თბილისელმა მკურნებელმა გულ-თბილად მიიღო ლაგოდნეხელთა სპექტაკლი. რესპუბლიკურმა პრესამ კარგი რეცენზიები უძღვნა თეატრის დადგმას.

მსახიობები პირველი ხარისხის დიპლომებით დააჯილდოვეს. ეს ყველაზე უფრო დიდი გამარჯვება იყო თეატრის ცხოვრებაში.

...ვეებერთელა წითელი მზე გომბორის იქით გადავორდა. თემშარაზე მტვერი ავარდა. აფენელებმა ხელი მოიხრდილეს და გზაზე მიმავალ მანქანას თვალი გააყოლეს. საღამოს ბრიგადირი ამოვიდა სოფლიდან: ლაგოდნეხელები ჩამოვიდნენ, წარმოდგენას გვიტარებენო. კოლმეურნეებმა თხები შეინახეს და კლუბისაკენ აჩქარებით გაეშურნენ...

ეს პირველი შემთხვევა არ იყო... არც უკანასკნელი. სახალხო თეატრი კოლმეურნეობის ხშირი სტუმარი გახდა. მეზობელ აზერბაიჯანის ქართულ სოფლებსაც უწიეს. კახის, ზაქათალის და ნუხეთის მშრომელები ყოველთვის მოუთმენლად ელიან თეატრის მსახიობების გამოჩენას.

ლელიანში რომ საღამო-კონცერტი გაიმართება, ვარდისუბნელებს უკვე გზისაკენ უჭირავთ თვალი, ახლა ჩვენი ჭერიანო. მარგო გოგოსაშვილი, ელენე ზორიანი და ნალია ზურაბიშვილი ისევ მხნე ნაბიჯით მიუძღვებიან თეატრის ახალგაზრდა კოლექტივს.

თ. შატირიშვილი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

არა, პენსიონი არ მივსულვარ. ყველანი ავედით მთაწმინდაზე ციგურბითა და თხილამურებით.

დათუნაც. ჩემმა მეგობრებმა ეს იცინ. ღუმელი გაუხურებიათ, კარტოფილს მიწვავენ და ჩემს დაბრუნებამდე ერთი ხული აქვთ.

ფანჯარაში სინათლე დავინახე და გახარებულმა შევადე კარი. გოგონები დიდხინის უნახავით გადავკოცნე და უაზროდ დავწვდი კარტოფილის ნაცერს.

— აა, გასაგებია, — თქვა ლიამ.

— უშია ჭერ, — გამაფრთხილა თამარიკომ.

— სულერთია, — ვიცინი მე.

— დავიწყოთ თავიდან, — ღუმელთან სკამი დამიდგა ლიამ, — აქედან რომ გახვედი...

— ბრძანდებოდა? — ჩაერია თამარიკო, — თუმცა, ჭამე ჭერ, შენი ამბავი რომ ვიცი, ლუქმას არ ჩაიდებდი პირში.

სკამიდან ლოგინზე გადავჯექი, მძიმე სათხილამურო ფეხსაცმელები იქვე დავყარე, ბალიშს მოხერხებულად მივეყრდენ და დავიწვი:

— დათუნას ჩემი სათხილამურო კოსტუმი მოეწონა.

— ხედავ, მოწონებია. ნახევარი თბილისი შემოვირბინე მაგისტვოს. ბიჭი იყო, არ მოწონებოდა.

— არ უთხარი, გაჩუქებ-თქო? — დამცინის თამარიკო.

— მაცადე, თამა, არ მოერგო, თორემ ვაჩუქებდი. აბა, არ ვაჩუქებდი?

— კიდეც კარგი, ხომ გავსკდებოდი გულზე.

— მხრებში ექნებოდა ვიწრო, მაგას რომ მხრები აქვს..

— თამარიკო, მხრები არა აქვს დათუნას? — ვცდილობ ერთერთი მაინც გადმოვიბირო.

— შენ რომ გეჩვენება, არც ისეთი, — მაწიბლებს თამარიკო, — განაგრძე.

— ავედით მთაწმინდაზე...

— ციგაზე თუ იჯექით ერთად? — მაწყვეტინებს ლია.

— ერთად არა.

— ჰმ, თამარიკო, რისი ღირსია ახლა ეს? რა გითხარი მე. წყალში ვყრი მთელ ცოდნას და გამოცდილებას. დავჭდებოდი იმ ოხერ ციგაზე, ციგა გადაბრუნდებოდა, შენ კი შეიძლება ფეხი გედრძო და მოგეხმარებოდა, აბა, ხომ ვერ ჩატოვებდა თოვლში.

— კარგი, ლია — ვიცინი მე, — ვითომ შენ კი ასე მოიქცეოდი?

— არა, შენსავით ჰემინგუეიზე დავუწყებდი ლაპარაკს! გაფიცებ ყველაფერს, ჰემინგუეიზე თუ ილაპარაკეთ?

— კი, — ვერ ვბედავ ტუულის თქმას.

— რას გეუბნებოდი! — მიუბრუნდა ლია თამარიკოს.

— არა, საოცარია, იმასაც ის მოთხრობა მოსწონს ყველაზე უფრო — გამახსენდა მე.

— რომელი?

— მე რომ მიყვარს.

— ისიც შენისთანაა, ნუ გეშინია, კაცი რომ მთელ დღეს მეტ სალაპარაკოს ვერ მოძებნის!

თამარიკომ შემწვარი კარტოფილი დამწვრა სკამზე, საწოლისაკენ მომიწია და მკითხა: — მერე რა ჰქენით, პოეზიაზე გადახვედით?

— აბა, რას იზამდნენ, — ჩამოართვა სიტყვა ლიამ, — ჭიშკრამდე ეს იტლიკინებდა. ძალიანაც რომ ნდომოდა, ველარაფერს ეტყუოდა ის ბიჭი. ვაჩუქებულთქვაჯი, სახალწლოდ მაინც გეტყუოდა რამეს.

— არა, ლი, მასეთ ხაფანგს დათუნას ვერ დავუგებ: კი არ მძულს, მიყვარს.

— არ გადაპირიო, — გაიკვირვა ლიამ.

ვუცქერი ჩემს მეგობრებს და მიხარია ვიცი, უყვართ ჩემი დათუნა და განგებ მარაზებენ.

— თუ მოგაცილა მაინც? იცის კი მაგდენი?

ბალიშზე გულადმა ვწევები და თვალებს ვხუჭავ.

— ასე სჯობია!

— რა სჯობია? — ვერ გაიგო ლიამ.

— ყველაფერი. ყველაფერი ასე სჯობს. თქვენ ხომ არ იცით, როგორ გეხარადა, როცა გაიგო, მეც ის მოთხრობა მიყვარდა. მერე მე ვამბობდი ლადო ასათიანის ლექსებს და თვალები უციმციმებდა — მოსწონდა. შავ თმაზე ფართო ფანტელები ეცემოდა, ხომ იცით, ქუდს არ ატარებს. ზღაპარივით იყო. გოგოები გაჩუქდნენ.

— ხელება ხელთათმანებმა ხელები გამოცივა. დათუნას საოცრად თბილი ხელები ჰქონდა, თუმცა უხელთათმანოდ წამოსულიყო. ქუდი მეც მოვიძრე და ორივეს გვათოვდა.

მოვდიოდით.

დათუნამ მკითხა, თუ შემიმჩნევია, ზაფხულობით, მთაწმინდის ძირში როგორ გალობენ ბულბულები.

ხეების ტოტები დათოვლილი იყო და თვალთ რომ ოდნავ მოვხუჭე, ვაშლის ყვავილობას გავდა.

გოგოები ხმამაღულბოლად ისხდნენ.


— მეძინება. — ვთქვი მე. — წუხელ ხომ არ მიძინია!

თამარიკომ ჩუმად გადამახურა თბილი ხალათი და ღუმელში შეშა შეუკეთა.

ბურანში მესმოდა, როგორც ტაკუნობდა ხმელი შეშა და როგორ ბარდნიდა გარეთ.

დამესიზმრა: გაზაფხული იყო და თბილისში ვაშლები ჰყვოდნენ.

დაიჩაღა? არა!



მალე მის ოჯახში ახალი სისხრული გაჩნდა. დაიბადა პატარა გურამი. თუმცა მან როდი მოსწყვიტა ქალი საქმეს. პირიქით. 1933 წელს ცენტრალური კომიტეტის განკარგულებით იგი თელავში გაემგზავრა სამუშაოდ. სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსი ნაშემწედ ქალთა შორის მუშაობის დარგში. მარიამი მხარში ამოუდგა მთის ქალებს, მათ ჭირ-ვარამს ინაწილებდა, იბრძოდა მათი საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმისათვის.

მარიამს მეორე შვილი — ქალიშვილი შეეძინა. იგი თბილისში დაბრუნდა, დროებით მოსწყდა სამუშაოს. შვილების მოვლაში გაართულ მარიამს და მილიონობით მისთანებს თავს დიდი განსაცდელი დაატყდა — დიდი სამამულო ომი დაიწყო. ლევანი იმ დღეებში წავიდა მოქმედ არმიაში, წავიდა და აღარ დაბრუნებულა...

მარიამმა გამგზავრა მეუღლე თუ არა, პირველ სამკერვალო ფაბრიკაში პარტიურის მდივნად დაიწყო მუშაობა.



მთელი ომის სიმძიმე საკუთარი მხრებით ზიდეს ქალებმა. საერთო საქმე თუ ოჯახი, ფრთხილდების დახმარება იუ უდღემამოდ დარჩენილ ბავშვებზე ზრუნვა — ყველაფერს სწევდობდნენ ისინი. მარიამი გვიან დამემდ არ შედიოდა სახლში, ფაბრიკიდან მუშების ოჯახებს მიაკითხავდა. ყველასათვის პოულობდა ნუგეშის სიტყვას. ყველასათვის ახერხებდა დახმარების გაწევას.

მერე მარიამი პარტიულ სკოლაში მიაღწინეს, ექვსთვიან კურსებზე. კურსები ფრიადზე დაამთავრა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად დანიშნეს. ეს იყო 1943 წელს.

გარბოდა დღეები, თვეები, წლები. მოვიდა მშვიდობა. ახლა მარიამი სატრიკოტაჟო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე იყო. კომიტეტი მრავალგვარ ღონისძიებას ახორციელებდა საწარმოო გეგმების შესრულებისათვის, მუშების პირობების გაუმჯობესებისათვის, საწარმოებში სოცშეჯიბრების გაშლისათვის.

1953 წელს მარიამს თბილისის № 2 მოღბის ატელიე ჩააბარეს და იგი თერთმეტი წლის მანძილზე შესანიშნავად უძღვებოდა ამ საქმეს. № 2 ატელიე ერთერთი მოწინავე ატელიე იყო თბილისში. ამ ცოტახნის წინათ ღვაწლმოსილი ქალი პენსიაში გააცოლა ატელიეს კოლექტივმა.

დაიღალა? არა! მარიამი არ დაღლილა. მაგრამ, იქნებ, შვილიშვილი, პატარა ნინო იყო დაზნაშავე?!... იგი ყოველთვის კალთაში ჩააფრინდებოდა ბებიას და ტირილით აცილებდა სამსახურში, საღამოს აფართქალეული ეგებებოდა და გულში ეკვროდა. იქნებ, ახლა ოჯახში, შვილებთან, შვილიშვილებთან და რძალთან ფუსფუსი მოწყურდა?!

ოლია ხელოვანი

მთავრით გაშუქებული გრძელი ავიანი. დიდ ეზოში ნიაგი დანავარდობს. ირწყვავ კოინდარი, ნანაობენ ყვავილები. ბაღში თუთის ხეებზე უსტყენენ შოშიები. დგომ-სავარცხელთან დედა ზის. მარიამი ფეხმოფრთხილი მატყლს ჩეჩავს და პატარა ქულებად აწყობს იმერულ კოდორში. თველე, ზინა, სარა და თინა მოქნილი თითებით თითისტარს ატრიალებენ და საჩოხე მატყლს ართავენ. მყუდრო ღამეს კვეთს დგბის ნაღვლიანი, ზმა-შეწყობილი სიმღერა. მერე, სადღაც გაბმით აყივლდებიან მამლები. პირველად დედა წამოდგება. კაბის კალთას დაიბურტყავს.

— გეყოფათ, შვილებო, თავზე დაფუთენებია, — იტყვის და საძილე ოთახს მიამურებს. ქალიშვილები ლოგინში ჩაწვებიან და დიდხანს არ წყდება ჩურჩული, ჩუმი კისკისი. ყველას თავის საიდუმლო აქვს, ყველას თავის სათქმელი. უცბად დედა შემოფათურდება, ჯერ მიძინარე ბორისს და ტიტიკოსს დასხედავს, საბანს გაუსწორებს, მერე ქალიშვილებს გადასხედავს მკაცრად და ყველაფერი მიწყნარდება სახლში.

დილით ყველაზე ადრე დედა ადგება. რკინიგზაზე მორიგეობიდან მოსული მეუღლე რომ არ გააღვიძოს, თითის წვერებზე გაავა სამხარეულოში. მას მიზამავენ ქალიშვილები და ყველას თავისი საქმე გაუნრდება. მარიამი დიდ კეცს გადაადგამს მოგზიგზე შუა ცეცხლზე, მორე ცომს შეზულს, სხვები — ზოგი სახლს ალაგებს, ზოგი ძროხას წველის. ონაარ ბიჭებს — ბორისს და ტიტიკოსს ზომ მუდამ ცილობა აქვთ, არა მე მოვეული ბოროლებს და არა მეო. საქმეს მოათავებენ თუ არა ქალიშვილები, სკოლისკენ გასწევენ. სკოლიდან დაბრუნებულები კი მამას მისდევენ ყანაში სამუშაოდ. კიდეც, გრიგოლ ნანიატაშვილის ოჯახი თითით საჩვენებელი იყო ბაზალეთში. „გრიგოლს ისეთი ქალიშვილები ჰყავს, ცივ ქვანზე დაასახლებენ კაცსო“, — ხშირად იტყოდნენ მეზობლები.

ქალიშვილებმა შვიდი კლასი დაამთავრეს და არავის უფიქრია მათი სწავლის გაგრძელებაზე. ყველას საფიქრელი იყო, ბიჭები არ დარჩენილიყვნენ უსწავლელი. მარიამს მაინც გზისკენ ეჭირა თვალი. კომკავშირულ გეგონას სხვა მისწრაფება ჰქონდა, სხვა აზრი, და 1925 წელს, როცა მარელისში გრეხილი ავეჯის ფაბრიკის შენება დაიწყო, მას ბედმა გაუღიმა და ხარაგოულის რაიონის ხელმძღვანელობამ იგი თბილისში გამოგზავნა ავეჯის გაკრძალვის შესასწავლად.

კურსებიდან ფაბრიკაში დაბრუნდა მარო. 1928 წლამდე მუშაობდა იქ, მერე ბეჯითი ქალიშვილი პარტიის შორაბნის სამაზრო კომიტეტის ქალთა განყოფილების ინსტრუქტორად დააწინაურეს. ქალებს შორის მუშაობა არც ისე ადვილი იყო მაშინ. ძველ ადათ-წესებზე აღზრდილ ქალებთან ბევრი წინააღმდეგობის დაძლევა უხდებოდა. მარომ თითოეულ სასოფლო საბჭოში ჩამოყალიბდა სადღეგებატო ჯგუფი, იზიდავდა ქალებს საზოგადოებრივ მუშაობაში, ხშირად ერეოდა ოჯახურ საკითხებშიც. დადიოდა სოფლიდან სოფელში, ყველა ქალის გულის მესაიდუმლე და მეგობარი იყო.

1930 წელს მარიამი ტიათურის რაიკომში ქალთა განყოფილების გამგედ გადაიყვანეს. შაგი ქვის ქალაქ უჭირდა მუშახელი. მარომ შემოიკრინა აქტივი. მალე მრავალი ქალი წავიდა მადარობებში სამუშაოდ. მერე ტიათურის მონასტერის მიაკითხა. დამაჯერებელი, გულითადი საუბრით მან წლების მანძილზე ბნელ მღვიმეებში ჩაკეტილი მრავალი უმღერამო ქალი გამოგლიჯა ეკლესიის გავლენას და საქმეში ჩააბა. მერე მარიამ ნანიატაშვილი კომკავშირის ხარაგოულის რაიკომის მდივნად აირჩიეს. იგი ამირკავკასიაში პირველი ქალი იყო კომკავშირის რაიკომის მდივნებს შორის...

სულ მალე მარო ისევ თბილისში მიავლინეს პარტიკტივის კურსებზე, აქ შესვდა იგი პარტიულ მუშაკს ლევან ჯაფარიძეს, რომელიც შემდეგ მისი ცხოვრების თანამგზავრი გახდა. კურსების დამთავრების შემდეგ მარიამი საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში ერთ-ერთ სექტორის გამგედ იწყებს მუშაობას.

თქონს ეუბოჯკევი



ავტომანქანა მიტქრის რუსთავის გზაზე. ქარი კვალდაკვალ მისდევს მას. ხეები თითქოს ქარის ძალას თავყვანს სცემენო, წელი იხრებიან.

— ერთი... ორი... ათი... ოცი! — ითვლიან მგზავრები. მაგრამ ხეები ბევრია და მათი დათვლა ადვილი არ არის. მგზავრები არ იცნობენ ქეთო დემურაძის მეტყვევითა ბრიგადის წევრებს, რომლებმაც ქალაქის მისასვლელებში ქარსაცავები გააშენეს. ეს ხეები რამოდენიმე წელიწადში მჭიდროდ გადახლართავენ ერთმანეთში ტოტებს და ცოცხალი საფარი მუდმივ ქარებს გზას გადაუღობავს.

რუსთავთან რომ მორჩნენ საქმეს, ქეთოს ბრიგადის წევრებმა ჩვენი რესპუბლიკის განაპირას, აზერბაიჯანისა და საქართველოს საზღვარზე ტყეპარკის გასაშენებლად გადანიაცვლეს. მათ სხვა სატყეო უბნების მუშებთან ერთად რამოდენიმე ათეულ ჰექტარზე დარგეს ფოთლოვანი და წიწვიანი ხეები.

საქართველო ოდითგან მდიდარი იყო ტყეებით, მაგრამ წარსულში მტკვრის მრავალრიცხოვანმა შემოსევებმა გააჩანაგა იგი, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში. ადამიანებმა, რომლებსაც ტყისათვის გული შესტივიათ, განიზრახეს მათი გეგმიანი გაშენება. 1947 წლის შემდეგ მასობრივად დაიწყო ტყეების გაშენება თბილისის ირგვლივ. უკვე ხუთი ათასამდე ჰექტარი უჭირავს ხელოვნურად გაშენებულ წიწვიან და ფოთლოვან ტყეებს.

თბილისის სატყეო მეურნეობა ნ უზნადაა დაყოფილი. ქეთო დემურაძის ბრიგადა ორთაქალის სატყეო უბანშია გაერთიანებული. უბნის ძირითადი მიზანია ალაღინოს ტყეები მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ჩამორეცხილ ფერდობებზე. მეტყვევებმა იციან, რომ ასეთ ნიადაგში გვალავაგამძლე ჯიშები კარგად იხარებენ. მათ აქ დარგეს აკაკის ხე, კაკალი, ნუში, ჭერამი და სხვა სასარგებლო მცენარეები.

ბუნება ხშირად ეურჩება ადამიანებს. ბოტანიკური ბაღის ზემოთ კლდოვან ნიადაგში ორმოების ამოთხრა გაძნელდა. მაშინ ორმოები აფეთქებით ამოიღეს, ფიჭვები ჩარგეს და მანქანებით მოზიდული მიწა მიაცარეს.

— მცენარეებიც ადამიანებოვით ერთმანეთისაგან განსხვავებული ხასიათისა არიან, — ფიქრობს ქეთო, — ზოგი კლდის გულში გაიდგამს ფესვებს, ზოგი კი მეტ ყურადღებას მოითხოვს! — ახალგაზრდა ქალი ვერ იგონებს შემთხვევას, რომ მისი ბრიგადის წევრებს დაერგოთ ხეები და მიეტოვებინათ. მოურწავად არცერთი ახლადარგული ხე არ იხარებს, განსაკუთრებით ფოთლოვანი ჯიშებისა. ამიტომ ისევ უბრუნდებიან ძველ სამუშაო უბნებს ტყის მეგობრები, რწყავენ და ნიადაგს უფხვიერებენ.

გამწვანების სამუშაოები წარმოუდგენელია მოურწავად. წყალთა მეურნეობის მუშაკებმა



მტკვრიდან შავნაბადას მთაზე აიყვანეს წყალი, თელეთის ახლომასლო მიწები არხებით დაქსელეს. მტკვრის წყალი სიცოცხლეს ანიჭებს შავნაბადას ფერდობზე, თელეთის მისასვლელებთან მეტყვევების მიერ რამდენიმე ათეულ ჰექტარზე დარგულ ხეებს.

ახალგაზრდა ტყეები მრავალ ჰექტარზე შრი-ალბენ ორთაქალაში, სოლანლუდის გზის მარჯვენა მხარეს. ახლა აქ ზაფხულობით საამო სიგრილეა, უწინ კი პაპანაქება იცხე და გვალვა მეფობდა. ამ ტყეებში ქეთოს ხელით ათი წლის წინათ დარგული ბევრი ხე ხარობს. ქეთო მაშინ პირველად მოვიდა მეურნეობაში სამუშაოდ, მეუღლისა და მამამთილის მიზაძვით. ახლა ნიკოლოზ დემურაძე რძლის ბრიგადაშია, საოჯახო საქმეებს კი დედამთილი უძღვება, სამი შვილიშვილიც მისი მისავლელია.

ხეების რგვა სეზონური და შრომატევადი საქმეა. რგვის დროს ქეთო დემურაძის ბრიგადის 18 წევრს 10-12 არამუდმივი წევრი ემატება. დანარჩენ დროს ხეხილის სანერგეში მუშაობენ, სხვადასხვა ჯიშის თესლებს თესენ, აღმოცენებულ მცირე ზომის ნერგებს ამეჩხერებენ, მერე ახალ

სანერგეში, ე. წ. სასკოლო ნაკვეთზე გადააქვთ. გარკვეული ასაკისა და ზომის რომ შეიქნება ნერგი, მხოლოდ მერე რგავენ გასატყვეველ ფართობზე. ვაშლი, მსხალი, ნუში, ჭერამი, ჭანჭური, ქლიავი და სხვა ხეხილი მრავლად იქნება ახლადგაშენებულ ტყეებში.

მაგრამ მარტო აქ გამოყვანილ ნერგებს როდი ნახავთ სანერგეში. შარშან საცდელად დარგეს 50-მდე სახეობის ვერხვი, რომელიც მოსკოვის, ლენინგრადის, ალმა-ატის, ტაშკენტისა და სხვა ქალაქების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეურნეობებიდან ჩამოიტანეს. ვერხვი საუკეთესოა ქარსაფარი ზოლებისათვის.

თბილისის სატყეო მეურნეობაში ბევრი მოწინავე ბრიგადაა. ამიტომ პირველობის მოპოვება და გარდამავალი დროშის დასაკუთრება ადვილი როდი იყო ქეთო დემურაძის ბრიგადისათვის. და მაინც, მეურნეობაში პირველად მას მიენიჭა კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელი.

**მარიამ დელაზიშვილი,
მიღვა რამიზვილი.**

მედიკალიზაცია



რჩეული მარიამ აბაშიძე ვაქცინის მკვლევარის ირენდა ყველგან ამიტომ დააჯილდოეს მედიკალიზაციის დარგში 1941-1945 წლების დროს „საქართველოს მამაცური შრომისათვის“.

როცა სამშობლო თმის მიერ მიტოვებული ჭრილობების მოშუშებას შეუდგა, მარიამი კვლავ იმათ რიგებში აღმოჩნდა, ვინც ნაომარ მიწას წყლულს უშუშებდა, ჭრივ-ობლებს იმედიან სიტყვას არ აკლებდა და ცხოვრების განახლებაში შეველოდა.

ამბობენ, ბუნებით მდიდარ ჩვენს მიწა-წყალზე ყველაფერი საღებუნად ედებოდა ადამიანს. ეს გაიხსენეს მაშინაც, როცა ზედა რგანის მიწაზე სამკურნალო გოგირდოვანი წყარო ამოჩვენეს. დიდხანს უტრიალა ამ ახალ წყაროს მარიამმა, წყაროს გოგირდოვანმა სუნმა, გვარჯილებმა იჭვი ალუქრა — არა, ეს უბრალო წყალი არ უნდა იყოს. ვინ იცის, იქნებ სამკურნალოა და ათობით სნეულის მშვეველი აღმოჩნდესო. ჯერ ადგილობრივ ხელმძღვანელობას ამცნო ახალი წყაროს დაბადება, შემდეგ რესპუბლიკის ცენტრშიც მიამწვინა ხმა, და როცა მცოდნენ მოვიდნენ და შეამოწმეს, აღმოჩნდა, რომ „კაჟის წყალს“ შესანიშნავი სამკურნალო თვისებები გააჩნია რეგულაციული დაავადებების წინააღმდეგ.

ისევ მარიამი ჩაუდგა სათავეში ამ ახალ საქმეს. სოფლის სახსრებით მალე სამკურნალო აბანოც ააგეს და უზარია ქალს, როცა ფემის, როგორ ემადლიერებოდა მახლობელი სოფლებიდან სამკურნალოდ ჩამოსულნი, თანდათან რომ უმსუბუქდებოდა სატკივარი და კვლავ საკოლმეურნეო შრომაში ებმებოდა. მაშინ ის გრძნობს, რომ წლებმა ძალა ვერ წაართვეს და ახალი სასიკეთო საქმეებისაკენ უწევს გული ხანდახმულ და მინც ახალგაზრდა ქალს, აქ, ზედა რგანში ყველა რომ დეიდა მარიამს უწოდებს.

ბაბი ბარბაქაძე

მას შვიდი ბიჭული წლის სიმძიმე აწევს მხრებზე დროს, წელთა უღმობელმა სვლამ საფე დაუღარა, მას თოვლივით გაუთეთრა. ძალაც აღარ მოსდევს უწინაღებურად, მარამ წლები ეუღლს ვერ მიწვდა, გული ვერ შეუცვალა: იგი კვლავ ახალგაზრდული, უბერებელი შემორჩა მარიამ აბაშიძე ერგემლიძისა და ამიტომ არის, რომ ძველ-ურთ მგზნებარებით ეკიდება ყველაფერს, რაც მის მშობლიურ კუთხეს, საჩხერის რაიონის სოფელ ზედა რგანს უკეთეს ზეაღმდეგ დღეს ძვირდება.

მარიამ აბაშიძის ყმაწვილქალთა ჩვენი ქვეყნის რევოლუციურ ვარიერას დაუმთხვავა. გონებაგახსნილმა, ჭკვიანმა ქალმა იმთავითვე აუღო ალღო ქვეყნის საკეთილო შემობრუნებას, რადგან აქ, მის სოფელშიც მანამ უცნობა სიტყვამ „რევოლუცია“ მაგრად მოიკიდა ფეხი. რევოლუციურად განწყობილი მარგაწყის მრეწველობის მუშები ხომ ის მოწინავე რაზმი იყო, რომელიც აშკარად ილაშქრებდა დრომოჭმული წყობილების წინააღმდეგ.

ახსოვს, კარგად ახსოვს მარიამს მათთან რევოლუციონერ ალექსანდრე ვაშაძის მისვლა. იმ დამეს თვალი არავის მოუხუჭავს. სტუმარ-მასპინძლებმა ბევრი ილაპარაკეს ახალ დროზე, რევოლუციას რომ უნდა მოჰყოლოდა და სწორედ მაშინ მარიამმა სისხლხორცეულად შეიგრძნო თავისი, როგორც მშრომელი ადამიანის როლი ამ ახალი ეპოქის შექმნაში.

მალე გაიმარჯვა რევოლუციამ. მერე მარიამმა თავის სოფელში პირველად იგრძნო კოლექტიური მეურნეობის სიკეთე, პირველი შვიდია კოლმეურნეობაში. საკოლმეურნეო მინდვრებში დღენიადაგ მეზობლების გვერდით ტრიალებდა მარიამი. მისმა გამრჯე მარჯვენამ არ იცოდა, რა იყო მოსვენება.

რამდენი საქმის მოთავე იყო! რომელი ერთი უნდა ჩამოთვალთ. არ ყოფილა ამ სოფლის ცხოვრებაში ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომ შიგ მარიამის ხელიც არ ჩარეულიყო, მისი გარჯის ნაყოფსაც არ ეჩინა თავი.

ამ ორმოცოთ-ორმოცდახუთი წლის წინათ, როცა ზემო იმერეთის სოფლებისათვის მეტად უცხო ხილი იყო სადამო-წარმოდგენების გამართვა, მარიამმა თავის ირგვლივ შემოიკრია იმეამად ზედა რგანში მყოფი მოწინავე, განათლებული ახალგაზრდობა. კვირა ისე არ გაივლიდა, რომ სოფელში სადამო-წარმოდგენა ან სხვა რაიმე გასართობი არ გაემართათ, ხალხი არ მიეზიდათ და დაეინტერესებინათ.

შემდეგ, როცა სამშობლოს ლაქვარი ცა სამტროდ მოსულთა თვითმფრინავებმა დანისღეს, როცა ქუდზე კაცი გამოვიდა ქვეყნის დასაცავად, მარიამი დღე ვაქცინურად შრომობდა საკოლმეურნეო მინდვრებში, დამე კი ამანათების მზადებაში თეთრად ათენდებოდა... ამ მრისხანე გამს სასოფლო საბჭოს დეპუტატი, ხალხის

მათხრობა ნაჩივნი

ლენტების რაიონის მაღალმთიან ალპურ ზონაში, ზღვის დონიდან 2020 მეტრის სიმაღლეზე, მდებარეობს ყორულდაში, ოქტომბრიდან მისამდე თოვლით დაფარული სოფელი.

ამ სოფლის საავადმყოფოში 30 წელია მუშაობს ექიმი კლავდია ვასილის ასული მაიოროვა — მედიცინის ძველი მუშაკი, მდიდარი თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული გამოცდილებით სამედიცინო სპეციალობის თითქმის ყველა საკითხში.

1933 წელს დაამთავრა კლავდია მაიოროვა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი და მას შემდეგ ექიმ-ლაბორანტად მუშაობს ყორულდაში საუბნო საავადმყოფოში.

ის დარაჯობს ხალხის სიცოცხლეს მთებში. მიდის შორეულ სოფლებში ფეხით, ცხენით, რომ ავადმყოფს დახმარება აღმოუჩინოს, ფეხზე წამოაყენოს. ყველა სვანის ოჯახში კლავდია მაიოროვა შინაური და საყვარელი ექიმი, მას პატივს სცემენ კოლეგებიც.

კლავდია მაიოროვა სისტემატურად ატარებს სამედიცინო თემებზე ლექცია-საუბრებს მოსმელობაში, დიდ ყურადღებას აქცევს სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვას საავადმყოფოში. კოლმეურნეობებში, ფერმებში, სკოლებში, მოსახლეობაში.

მრავალი წლის უმწიკვლო შრომისათვის მედლებით და სიგელებით დაჯილდოებული კლავდია მაიოროვა ყველა სვანისთვის ახლობელი ადამიანია.

ნ. ცოხია.


სოფელ ცანის საუბნო საავადმყოფოს მთავარი ექიმი.

596



საქონელი





ქალთა კულტურულ- საგანმანათლებლო საზოგადოებრივი „განათლება“

რევოლუციამდელი რუსეთის თვითმპყრობე-
ლური მთავრობა თავის ბატონობას ხალხთა მან-
სების სიბნელესა და უცილობაზე ამყარებდა. ამი-
ტომაც იგი ყოველნაირად აფერხებდა სახალხო
განათლების განვითარებას. მასების მისწრაფე-
ბა განათლებისაკენ კი დიდი იყო.

ასეთ პირობებში ხალხში განათლების გავრ-
ცელების საქმეს საზოგადოებრივი ორგანიზაცი-
ები, პროგრესული ძალები კიდებდნენ ხელს. ამ
მიზნით არსდებოდა სხვადასხვა კულტურულ-სა-
განმანათლებლო საზოგადოება. რევოლუციამდელ
საქართველოში კულტურულ-საგანმანათლებლო სა-
ზოგადოებათა რიცხვა 50-ს გადააჭარბა. მათ
შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ქალ-
თა საზოგადოება „განათლებამ“ ეკუთვნის. ეს სა-
ზოგადოება დაარსდა მოწინავე ქალთა ერთი
ჯგუფის თაოსნობით, რომელსაც ცნობილი ქარ-
თველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ანას-
ტასია მიხეილის ასული თუმანიშვილი-წერეთე-
ლი ხელმძღვანელობდა.

საზოგადოება „განათლებამ“ პირველი საორ-
განიზაციო კრება ჩატარდა 1908 წ. 18 ივნისს
(ძვ. სტილით). საზოგადოების პირველი გამგე-
ობის შემადგენლობაში შედიოდნენ ან. თუმანი-
შვილი-წერეთელი (თავ-რე), ნ. ბარათაშვილი
(მისი თანაშემწე), გ. ნატრაძე (ხაზინადარი), ნ.
ერისთავი (მდივანი) და სხვა, სულ 7 ქალი.

საზოგადოება „განათლებამ“ 1908-1909 სას-
წავლო წლის დასაწყისიდან გახსნა ქ. თბილის-
ში ქალთა პროგიმნაზია სამი მოსამზადებელი
განყოფილებით.

იმ მიზნით, რომ თავიდან ყოფილიყო აცი-
ლებული მოსწავლეთა ჩამორჩენილობა, ყო-
ველი სამი თვის შემდეგ, როცა პროგრამა უკვე
გავლილი იყო, ყველა კლასში იმართებოდა გა-
მოსაცდელი გაკვეთილები ზედამხედველის თან-
დასწრებით, ამგვარი გამოცდის შემდეგ ზედამ-
ხედველი წარუდგენდა გამგეობას თავის შენიშ-
ვნებს. პედაგოგიური საბჭო სწორად იწვევდა
სწავლაში ჩამორჩენილ ან შეუფერებელ ყოფაქ-
ცევაში შენიშნული მოწაფეების მშობლებს, ესა-
უბრებოდა მათ და შეერთებული ძალითა და და-

ხმარებით შევლოდნენ ერთმანეთს ბავშვების გა-
მოსწორებაში.

საზოგადოება „განათლების“ სკოლაში თავი-
დანვე დიდი ყურადღება ექცეოდა ხელსაქმის
სწავლებას და ხატვას. 1912 წლიდან კი გაიხ-
სნა პროფესიული განყოფილება, ანუ სკოლა
(როგორც მაშინ ეძახდნენ). პროფესიულ სკო-
ლაში იღებდნენ იმ მოსწავლეებს, რომლებმაც
პროგიმნაზია დაამთავრეს. სხვა სასწავლებლე-
ბიდან მიღება არ სწარმოებდა. პროფესიულ სკო-
ლას ჰქონდა განყოფილებები — ტანსაცმელის,
თეთრეულის, კალათების დაწვის და წინდების
ქსოვის.

სკოლაში მზადდებოდა ტანსაცმელი, თეთრე-
ული, წინდები, კალათები, რომელნიც იყიდებო-
და და იფარებოდა სკოლის ხარჯები.

ცოტა მოგვიანებით სახელსონო განყოფილე-
ბა სამხატვრო სახელსონო სკოლად გადაკეთდა.
პირველ წელს სკოლაში მიიღეს 60 მოწაფე.

1922 წლის 2 აპრილს დიდი ზეიმით აღინი-
შნა ამ სკოლის არსებობის 10 წლისთავი. ამას-
თან დაკავშირებით გაზეთი „ტრიბუნა“ წერდა:
„კვირას, აპრილის 2-ს შესრულდა ათი წელი-
წადი, რაც არსებობს განათლების საზოგადოე-
ბის სამხატვრო სახელსონო სკოლა“.

1914 წლის 1 ივლისს გამოვიდა კანონი, რო-
მელიც უფლებას აძლევდა საზოგადოებრივ ორ-
განიზაციებს და კერძო პირებს თავიანთ სკო-
ლებში სწავლება შემოეღოთ მშობლიურ ენაზე
და სწავლების კურსი განესაზღვრათ თავიანთი
შეხედულებით. ამ უფლებით საზოგადოება „გა-
ნათლებამ“ დაუყოვნებლივ ისარგებლა და თავის
სკოლაში სწავლება შემოიღო ქართულ ენა-
ზე, ქართული ენის, ქართული ლიტერატურის,
საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის კურ-
სი კიდევ უფრო გააფართოვა, ამ სახით, შესაძ-
ლებელი გახდა ოფიციალურად იმ დონისძიებ-
თა გატარება, რომელთაც სკოლა არაოფიცია-
ლურად და არალეგალურად ატარებდა წინათ ამ
დარჯში.

„ახალ სკოლას ახალი მასწავლებელი ესაჭი-
როება, მშობლიურ ნიადაგზე აღზრდილი, დედა-
ენისა და საშობლო ისტორიის ზედმიწევნით
მცოდნე...“

ვინ მოგვცემს ასეთ მასწავლებელს?... ყო-
ველ შემთხვევაში არა დღევანდელი სახალხო
სკოლა!...

ამრიგად, განემოება თვით გვიკარნახებს საჭი-
როებას საკუთარი საოსტატო სემინარიის დაარ-
სებისას. ეს საჭიროება აუცილებელი ხდება თუ
უფრო ღრმად ჩავეუკვრდებით საკითხს...*

სემინარია გაიხსნა 1917 წლის 25 სექტემბ-
რიდან. 1918 წლამდე სემინარიას „განათლე-
ბის“ საზოგადოება ინახავდა. ამ წლის სექტემბ-
რიდან ის შეტანილი იქნა განათლების სამინის-
ტროს სისტემაში. სემინარიას პირველი გამოშ-
ვება ჰქონდა 1920 წელს.

* ნაწყვეტი მოხსენებიდან, რომელიც გამოი-
ცა ცალკე ბროშურად სათაურით „დედათა ქარ-
თული საოსტატო სემინარია 1915 წ.“

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ქართველ მოწი-
ნავე ქალთა თაოსნობით დაარსდა „განათ-
ლებულ-საგანმანათლებლო საზოგადოება“ „გა-
ნათლებამ“ დიდი ისტორიული მნიშვნელობის
საქმე გააკეთა. მან მეტად მძიმე პირობებში და
დიდ დაბრკოლებათა გადალახვით ჩამოაყალიბა
ქალთა პროგიმნაზია, სადაც სწავლება თავიდა-
ნვე მშობლიურ ნიადაგზე წარიმართა. მანვე შე-
ქმნა პირველი ქართული სამხატვრო სახელსონო
ქალთა სკოლა, რომელმაც დიდი პოპულარობა
და სიყვარული მოიპოვა.

საზოგადოება „განათლების“ განსაკუთრებულ
დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან
შესძლო დაეარსებინა პირველი ქართული საოს-
ტატო სემინარია. კერძო საოსტატო სემინარიის
დაარსება მაშინდელ პირობებში იმდენად რთუ-
ლი და ძნელი იყო, რომ ამ საქმეს ხელი ვერ
მოკიდა წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზო-
გადოებამაც კი, რომელსაც გაცილებთ უფრო
მეტე შესაძლებლობა მოეპოვებოდა, ვიდრე „გა-
ნათლებამ“.

ქართული საოსტატო სემინარიის დაარსებას
იმ დროს ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.
ქართული დაწყებითი სკოლების რიცხვი იზრ-
დებოდა, მაგრამ მასწავლებლებს ამ სკოლებისა-
თვის არსებითად არავინ ამზადებდა. ამას ყუ-
რადღება პირველად საზოგადოება „განათლებამ“
ნიაქვია და პრაქტიკულად გადადგა კიდევაც
სათანადო ნაბიჯები.

ეს არის ამ საზოგადოებისა და პირადად ა. მ.
თუმანიშვილი-წერეთლის დიდი დამსახურება ქა-
რთველი ხალხის წინაშე.

დიდი ღვაწლი მიუძღვის საზოგადოების სამ-
ხატვრო სახელსონო სკოლის მუშაობაში მარიამ
მიხეილის ასულ მაჩაბელს. ის იყო ამ საჭირო და
სასარგებლო საქმის ორგანიზატორი და სულის-
ჩამდგომელი.

ერთი სიტყვით, საზოგადოება „განათლების“
მუშაობა ყოველ მხრივ იმსახურებს მოწონებას
და მაღალ შეფასებას.

ს. სიგუა,

პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.

აქტიუმიზმის თემაზე

დამჩიუბური შედეგი...

რელიგია წარსულის ერთ-ერთი ყველაზე მავ-
ნე გადმონაშთია, რომლისგანაც ჯერ კიდევ არ
განთავისუფლებულა მოსახლეობის ნაწილი. იგი
აბეზრებს ადამიანს, ასუსტებს მის ნებისყოფას,
ხელს უშლის ჯანსაღი და ნათელი ცხოვრების
შექმნაში.

მორწმუნე ადამიანები ასე მსჯელობენ:
ჯობს ამ ქვეყნად ეწამო, ხოლო იმ ქვეყნად
შენი სული ღმერთმა სამოთხეში გაგზავნოსო.
უყურებთ მათ და გჯერათ, რომ ისინი ამ ქვეყ-
ნად მართლაც ეწამებიან, გაშმაგებული ლოც-



ვისაგან თვალები ჩაცვნიათ, სახე გაყვითლებიათ. ბევრი მათგანი დედაა, ისინი შვილებზე „ზრუნვას“ იმით გამოხატავენ, რომ მათ ღვთისადმი შიშს უნერგავენ, აიძულებენ შეასრულონ რელიგიური წესჩვეულებები. როგორც ვიცით, ბავშვებისათვის დედა დიდი ავტორიტეტია და აბა, სხვას ვის დაუჯერებენ თუ არა მას.

გორის მეორე საშუალო სკოლა დაამთავრა იზოლდა მჭირთოვამ. იგი საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა და საზოგადოებრივ მუშაობაშიც იყო ჩაბმული. მაგრამ გოგონა თანდათანობით განმარტოვდა, რაღაც დარდი და ნაღველი შემოაწავა. სამწუხაროდ, არავის ჩაუხედავს მის გულში, რომ გაეგო გოგონას სევდის მიზეზი. ეს ყველაფერი ნათელი გახდა მას შემდეგ, როცა მორწმუნე დედამ იგი ბნელეთის გზას გაუყვანა, მცხეთის დედათა მონასტერში მიიყვანა და მონაზვნის შავი ძაპით შემოსა.

მზრუნველმა ადამიანებმა, მართალია, გვიან, მაგრამ მაინც გამოსტაცეს იზოლდა მონასტერს, რის შემდეგაც კიდევ გრძელდებოდა ფანატიკოსი დედის ასირებულობა.

სოხუმში მცხოვრებ ტანია დროზდოვას დედას, მარიას თავისი კუთხე აქვს ბინაზე, რომელსაც „წმინდა კუთხე“ ეწოდება. აქ კიდია რამდენიმე სხვადასხვა ზომის და დანიშნულების ხატი. ეს ბნელეთის მოციქული სარგებლობდა რა მშობლის ავტორიტეტით, გოგონას აიძულებდა ზეპირად ესწავლა ლოცვანი, საათობით დაწოქილს, თავიანი ეცა ხატებისათვის. აი, რას ჩააგონებდა იგი შვილს:

„დრო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, არის ურწმუნოების დრო. ღმერთისადმი რწმენის დაკარგვაში ძირითად როლს ასრულებს სკოლა... ყოველთვის უსმინეთ მხოლოდ ღმერთს. როდესაც ლაპარაკობენ სკოლაში ღმერთის საწინააღმდეგოს, შენთვის თქვი ხოლმე: უფალო, ყველაფერი ეს სიცრუეა, მე ვიცი, რომ შენ იყავი, ხარ და იქნები. მე მხოლოდ შენი მწამს და ვლოცულობ, უფალო!...“

მარია ცდილობდა შვილის იზოლირებას მსაწავლებლებისა და თანატოლებისაგან, მამა კი თხოვლობდა, რომ ტანიას კარგად ესწავლა სკოლაში, ვკითხა გაზეთები, ევლო ბავშვებისათვის შესაფერი კინო-სურათების სანახავედ. მშობლების აზრთა ამგვარი წინააღმდეგობის პირობებში მყოფი გოგონა დიდხანს ებრძოდა თავისთვის. ვისთვის დაიქურებინა? ვის მიმხრობოდა? მაგრამ ბავშვი საბოლოოდ იხსნა რელიგიური ტყვეობიდან მამის შეუპოვარმა მოქმედებამ.

ხულოს რაიონში შაირათის მიმდევარ ზოგიერთ მშობელს მოსწავლედ გოგონა გაჰყავს სკოლიდან, ჩადრს ახურავს და აქორწინებს. ასეთი საქციელი ხელს უშლის ახალგაზრდას თავისი ადგილი დაიკავოს ცხოვრებაში, მიიღოს განათლება და საწარმოო პროფესია, გასდეს საზოგადოებრივი საქმიანობის აქტიური მონაწილე.

კომუნისტური მორალი გვასწავლის, რომ ადამიანს უნდა უყვარდეს თავისი ოჯახი. ამ მოთხოვნაში შედის მშობლების პატივისცემაც, მაგრამ თუ მშობლები დაადგებიან საბჭოთა ადამიანისათვის შეუფერებელ გზას, დაარღვევენ სოციალისტური თანაცხოვრების კანონებსა და

ნორმებს, სრულიად არ არის გასაკვირი, თუ შვილები მათ არ დაუჯერებენ და პატივს აღარ სცემენ. ეს სავეტებით გამართლებულია მორალურად. ჩვენი საზოგადოება ასეთ შვილებს არ გაკიცხავს.

საბჭოთა ახალგაზრდის ნებისყოფის კარგი მაგალითია ცრუმორწმუნეთა წრეში მოქცეული უკრაინელი კომკავშირელი გოგონას იაზიას გაბედული მოქმედება.

როდესაც იაზია კომკავშირის რიგებში შევიდა, მორწმუნე დედამ საყვედურებით აავსო ურწმუნე ქალიშვილი. ოჯახში უკმაყოფილება იზრდებოდა, რადგან გოგონას, დედისაგან განსხვავებით, სულ სხვა შეხედულება ჰქონდა შემუშავებული ცხოვრებაზე.

სასწარკვეთილმა იაზიამ გადაწყვიტა დაეტოვებინა ოჯახი და მიმართა კომკავშირის ორგანიზაციას რჩევისათვის. აქ ყურადღებით მოუსმინეს მის ნაამბობს, მხარი დაუჭირეს მის გადაწყვეტილებას და სამკერავლო სკოლაში მოაწვევეს. იაზიამ დაუმტკიცა დედას, რომ უღმერთოდაც შეიძლება კარგად სწავლა და შრომა. დედა დარწმუნდა იმაში, რომ იაზია არ გადაუსვებს ცხოვრებაში არჩეულ გზას.

იაზიას და იზოლდას ტრაგიკული ცხოვრების მაგალითები გვიჩვენებენ, თუ როგორ იწამებოდა ორი ახალგაზრდის არსება რელიგიური შხამით. იაზიას ნებისყოფა მტკიცედ უმკლავდებოდა მორწმუნე დედის გავლენას, და კიდევაც აირჩია ცხოვრების სწორი გზა, ხოლო იზოლდამ სისუსტე გამოიჩინა და ხელი ჩაიქნია ყველაფერზე.

ამას წინათ მოწყობილ შეხვედრაზე პოეტმა აკადემიკოსმა გიორგი ლეონიძემ ასე მიმართა ახალგაზრდებს: „თქვენ დღეს დილა ჩადრს, მგელი კი დღე უნდა იყოს, და სკალნდელ საქონელს ლოს ჩვენზე უკეთ მოუაროთ... ახალი თაობა ის კი არ არის, ვინც ასაკით არის პატარა, არამედ ის, ვინც ახალს შექმნის თავისი ერის ცხოვრებაში, ახალ წვლილს შეიტანს მასში.“

ამ მოწოდებას ვერ გაამართლებს ის ახალგაზრდა, რომელიც იზოლდასავით ხელს ჩაიქნევს ყველაფერზე და ადვილად მოქცევა ძველი, მავნე გადმონაშთების ტყვეობაში.

რუსრ პედაგოგიურ მცენიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ნ. კაიროვმა აღნიშნა: „ძნელია, როგორც ეტყობა, ძველი ხალხის ხელახალ აღზრდაზე ვარაუდის აღება, მაგრამ საჭიროა გაბედულად მივადწიოთ იმას, რომ მათ არ აუბნინონ ბავშვებს და მოზარდებს ცხოვრების სწორი გზა, არ ატარონ ეკლესიაში, არ აიძულონ ილოცონ ხატების წინაშე.“

მორწმუნე მშობლების რელიგიურ გავლენას ბავშვებზე უნდა დაუპირისპიროთ სკოლისა და საზოგადოებრიობის გადამწყვეტი გავლენა. დიდი რუსი პედაგოგი მაკარენკო სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ოჯახი შეიძლება იყოს კარგი და ცუდი. ამიტომ იმის მტკიცება, რომ ყოველი ოჯახი აღზრდის ბავშვს როგორც საჭიროა, არ შეიძლება.

სკოლას, საზოგადოებრიობას ყოველთვის შეუძლია დაეხმაროს მშობლებს ბავშვების აღზრდისას დაშვებული შეცდომების გამოსწორებაში და თუ საჭირო იქნა, იხსნას ისინი მორწმუნე მშობლების მავნე ზეგავლენისაგან.

პედაგოგი ი. ძიძიუარი

მეცხაიანელო იყოქოზიო

თეატრის დირექტორთან

— ახანაჯო დირექტორო! ნეტავ ჩემი ცოლი სცენაზე გამოეყვანათ!

— კი მაგრამ, მას ამისათვის სათანადო მონაცემები გააჩნია?

— როგორ არა, იგი სცენებს ყოველდღე მიწკობს სახლში.

ძიღუმი

ცოლი: — შენ იხევ ლაპარაკობდი ძიღუმი.

ქმარი: — კი მაგრამ, ღამეც არ შემიძლია რომ სიტყვა ვთქვა?

ერთ წუთს

ცოლი ხადილს ხარშავდა, მერე ქმარს მიუხრუნდა:

— პეტრე, ერთი წუთით მეზობელ ქალთან შევირბენ, შენ კი უოველ ნახევარ საათში ერთხელ მოუტრე ხოლმე სუამს.

წყალზე

მამა ხელ წყალსა შეიძღა, ხანდახან ღღუდაც თავის ქალიშვილს კი იხეთი ქორწილი გადაუხადა, რომ ყველა გააკვირვა.

— აქ არაფერია გასაკვირი, — უპასუხა მამამ დაინტერესებულ პირებს. — წყალზე მიდროელებქტროსადგურებსაც კი აწყოხენ, და მე რატომ არ შემიძლია, რომ ჩემს ქალიშვილს ქორწილი მოვუწყო?

ნასწავლი ცოლი

— ვასილ, გაიგეთ, როგორი ნახვადი ცოლი მოიყვანა ჩვენმა მასწავლებელმა? — შევიდ ენაზე ლაპარაკობს!

— ღმერთო, ჩემო როგორ შეუძლია ამგვარ ქალთან ცხოვრება? აი, ჩემი ცოლი მხოლოდ ერთ ენაზე ლაპარაკობს და მასწავლი მთელი დღე სახლში არ შედგამება.


უკრაინულიდან თარგმნა
გ. საპვარძლიძემ

მზრუნველი კამეზი

ცხოველთა სამყაროში შთამომავლობის აღზრდადმი მზრუნველობა მეტად ნაირგვარადაა გამოხატული. მრავლად არიან ისეთი სახეობები, რომელთა შორის შთამომავლობის აღზრდისათვის როგორც დედა, ისე მამა ერთნაირი თავგამოდებით ზრუნავს. არიან ისეთი მამებიც, რომლებიც ახალი თაობის აღზრდის მთელ ტვირთს თვითონ ეწევიან, ხოლო დედა ამ საქმეში სულაც არ მონაწილეობს. მაგრამ ბევრია ისეთი „მამა“, რომელიც ნაშიერის აღზრდაზე სულაც არ ზრუნავს, პირიქით, თუ დრო იხელთა, უდღოდ დარჩენილ შვილებს თვითონვე ჭამს.

მოგიყვანთ ზოგიერთ მაგალითს. მურა დათვი თავის ბელეებს სანსლავს თუ მათ მიმართ ძუ დათვმა თუნდაც ერთი წუთით ყურადღება მიაღწუნა.

სამაგიეროდ, სვადი მგელი მეტად ნაზი და ფაქიზი მამაა, მიუხედავად იმისა, რომ იგი უბოროტეს მხეცად ითვლება და სახალხო მეურნეობას ყოველწლიურად აურაცხელ ზარალს აყენებს. ნორჩი ლეკვებისათვის „მამას“ საკვები კუჭით მოაქვს. როდესაც სვადი მგელი ბუნაგში გამაძღარი ბრუნდება, მას ლეკვები მაშინვე გარს შემოებევიან ხოლმე და თავისებურად გაღერსებინან. სვადი მგელი, თავისი ლეკვების აღერსით გაღიზიანებული, შეჭმულ საკვებს პირიდან ანთხევს. ამ „ნათხევარს“ ლეკვები მაშინვე მიცვიდებიან და თვალის დახამხამების უმაღლ დასანსლავენ. და ასე მეორდება ყოველდღე, სანამ ლეკვები იმდენად არ წამოზრდებიან, რომ დამოუკიდებლად საკვების მოპოვება შეძლებათ.



ცერასიასი, ზევით—დედალი, რომელსაც გვერდზე მამალი ჰყავს შეზრდილი, ქვემოთ—მამალი ცერასიასი.

აღსანიშნავია, რომ გარდა მგლისა, თავიანთ ნაშიერებს ნათხევარით კვებავს მელა, ენოტიწებრი ძაღლი და ზოგიერთი სხვა მტაცებელი.

ფრინველებს შორის „მამის“ მშობლიური მზრუნველობა თავისებურადაა გამოხატული. ავსტრალიის ტრამალუმში გავრცელებულია საკმაოდ მოზრდილი ფრინველი ემუ, რომელსაც ავსტრალიურ სირაქლემასაც უწოდებენ. დედალი ემუ 15-მდე კვერცხს დებს და თავისი შთამომავლობისადმი მთელ დამოკიდებულებას ამით ამთავრებს. კვერცხებზე კრუსად მამალი ჯდება. კრუსობა 58 დღემდე გრძელდება. აღსანიშნავია, რომ ამ ხნის განმავლობაში მამალი ემუ ბუდიდან არ დგება, არც არაფერს ჭამს და არც სვამს. ამის გამო იგი კრუსობის პერიოდში თავისი წონის 30 პროცენტს ჰკარგავს. შემდეგში მართვების აღზრდაზე მხოლოდ მამალი ზრუნავს და ამ საქმეში დედალი არ მონაწილეობს. თავის შვილებს „დედა“ ვერც კი სცნობს.

სამხრეთ ამერიკის ტრამალუმში ცხოვრობს პატარა სირაქლემა — ნანდუ, რომლის წონა 40 კილოგრამამდე აღწევს, ხოლო სიმაღლე — 150 სანტიმეტრამდე.

დედალი ნანდუ ორმოსებურ ბუდეში 12-მდე კვერცხს დებს. შემდეგ იგი თავის კვერცხებს ახლ-საც აღარ ეკარება. კრუსად მამალი ნანდუ ჯდება 42 დღის განმავლობაში.

მამა-ნანდუს თავისი მართვები საკვების საშოვნელად ტრამალუმში დაჰყავს და მათ მედგრად იცავს. მაგალითად, თუ წინ ნადირი ან ფრინველი (თუნდაც თავისივე მოდგმისა) შემოეყრება, „მამა“ მაშინვე მას გამოედევნება და ფეხის მძლავრი დარტყმით კლავს, ან შორს დევნის, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი ნანდუს მიმართ სრულიადაც არ არის მტრულად განწყობილი.

ნანდუს მეტად ორიგინალური თავისებურება ახასიათებს. ხშირია შემთხვევები, როდესაც მამა-ნანდუს, რომელიც ტრამალუმში თავის მართვებთან ერთად „დასეირნობს“, წინ, აგრეთვე მართვებით გარშემოხვეული მეორე მამა-ნანდუ შემოეყრება ხოლმე. მაშინ ამ „მამებს“ შორის სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა იმართება. ისინი მანამდე ჩხუბობენ, სანამ ერთერთი მათგანი არ მოკვდება ან მძიმედ დაჭრილი „ბრძოლის ველს“ არ დასტოვებს. შემდეგ გამარჯვებული მამა თავის დამარცხებული ნანდუს მართვებს თავს მოუყრის და სარჩოს საძებნელად წაიყვანს. იგი შემოხიზნებულების მიმართაც ისევე ზრუნავს, როგორც თავის მართვებზე.

შემდეგში შესაძლებელია ამ ნანდუს ასეთივე „ბრძოლით“ საკუთარი და ძალადობით შეძენილი მართვები სხვა, უფრო ძლიერმა მამალმა ნანდუმ წაართვას, ხოლო ის კი „უსეილოდ“ დასტოვოს.

ხდება ისეც, რომ ნანდუ, რომელსაც საკუთარი მართვები წაართვეს, მართვებს თავისზე უფ-

რო სუსტ მამალს ართმევს და ზრდის, მაშინ, როდესაც მისი მართვების აღზრდაზე სხვა ზრუნავს.

მამობრივი მზრუნველობა ზოგიერთ წყალხმელეთა ცხოველსაც ახასიათებს.

სამხრეთ ამერიკაში ცხოვრობს პატარა ბაკაყი რიზოდერმა, რომლის სხეულის სიგრძე 3 სანტიმეტრია. რიზოდერმას მოეპოვება თავისებური ყელის პარკი, რომელიც მკერდისა და მუცლის კანის ქვეშ მდებარეობს. მამალი რიზოდერმა განაყოფიერებულ ქვირითს თავკომბალეების გამოჩვენებამდე ამ პარკში ინახავს. როდესაც აღნიშნულ პარკში თავკომბალეები გამოიჩვენებიან და აფართალდებიან, მაშინ რიზოდერმა პირს ალღებს და მისი თავკომბალეები წყალში გამოეყრდებიან და დამოუკიდებლად იწყებენ ცხოვრებას.



მამალი შიზოსტომა. მკაფიოდ მოსჩანს მის სხეულში მოთავსებული დედალი შიზოსტომა.

შთამომავლობის აღზრდისათვის თავისებურად ზრუნავს ევროპაში მოხინაღრე ბაკაყი-მეანი. განაყოფიერებულ ქვირითს მამალი ბაკაყი-მეანი უკანა ფეხებზე შემოიკრავს ხოლმე და წყალსატევის სანაპიროზე ნოტიო ნიადაგში უძრავად წვება. როდესაც თავკომბალეების გამოჩენის დრო მოახლოვდება და ისინი კვერცხში ამოძრავდებიან, მაშინ „მამა“ ფეხებს მძლავრად აფართალდებს, რის შედეგადაც ქვირითის გარსი სკდება და გამოჩეკილი თავკომბალეები წყალში ცვიან.

რვა საოჯახო ქვეში

აქიის რვა

გეგვი ლიგე ველე ქე

მამობრივი მზრუნველობით ცნობილია ზოგიერთი თევზი. ამ მხრივ საინტერესოა ნემს-თევზა, რომელიც საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული შავ ზღვაში, კერძოდ, საქართველოს სანაპიროსთან ხშირად გვხვდება. მამალ ნემს-თევზას მუცლის მხარეზე ერთგვარი კანოვანი ნაოტი აქვს. იგი მის მახლობლად დედალ ნემს-თევზას მიერ დაყრილ ქვირითს აგრძობს, ანაყოფიერებს და ამ კანოვან ნაოტში ინახავს. ამ ნაოტში ლიფსიტები იწყებიან, რომელთაც „მამა“ მანამდე ატარებს, სანამ ისინი იმდენად არ წამოიზრდებიან, რომ დამოუკიდებლად ცხოვრება შეეძლებათ. ამის შემდეგ „მამა“ ამ კანოვან ნაოტს ხსნის და ლიფსიტებიც წყალში აღმოჩნდებიან.

შთამომავლოდ ეს აღზრდისათვის თავისებურად ზრუნავს თევზი აპოგონი, რომელიც ტროპიკულ ქვეყნებში ცხოვრობს. მამალი აპოგონი განაყოფიერებულ ქვირითს პირის ღრუში ინახავს და ლიფსიტების გამოჩეკამდე წყალში პირდაღებული დაცურავს. ლიფსიტები გამოჩეკისთანავე პირიდან წყალში შეცურდებიან.

საყურადღებოა თევზი პინაგორი, რომელიც ჩრდილოეთის ზღვებში ბინადრობს. მამალი პინაგორი განაყოფიერებულ ქვირითს ლიფსიტების გამოჩეკამდე ყარაულობს და მტერთა „თავდასხმებისაგან“ იცავს. შემდეგში კი ნორჩი ლიფსიტები „მამას“ განსაკუთრებული მისაწოვრებით გვერდებზე მიეკრობიან ხოლმე და ერთ ხანს ასე რჩებიან. ისინი ამგვარ მდგომარეობაში უფრო დაცული არიან

როგორც, სამშობიარო სახლის მოსაცდელში ბედნიერებისაგან სახეგაბადრულ მამებს შორის დამწუხრებული მამაკაცი შევნიშნე, მივუახლოვდი.

— თქვენ ვისთან ხართ?

— შემომხედა და სწრაფად, ენისბორძიკით მიპასუხა:

— ექიმო, უბედურება დაგვემართა...

უღღერი ბავშვი გვეყოლა. იცოცხლებს ექიმო?

— რა თქმა უნდა!

— და მთელი ცხოვრება უღღერი და არასრულფასოვანი დარჩება?

რა საოცარი შეკითხვაა! საოცარი, მაგრამ არაორიგინალური. სამწუხაროდ, ეს აზრი საკმაოდ დამკვიდრებულია ჩვენს ყოფაში. ძალიან ბევრი ახლაც ფიქრობს, რომ დღენაკლულ ბავშვებს გააჩნიათ რაღაც „თანდაყოლილი სისუსტე“, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვებათ. მაგრამ ამ ყალბ შეხედულებას მთლიანად აბათილებს დღენაკლულ ბავშვთა მოვლის ის სისტემა, რომელიც შეიმუშავეს და მეცნიერულად დაასაბუთეს ჩვენმა ექიმებმა.

ამრიგად, ბავშვი ვადაზე ადრე დაიბადა. დედა წუხს: ბავშვი ორნახევარ კილოგრამსაც არ იწონის, სიგრიძით კი ორმოცდაათე სანტიმეტრს ვერ აღწევს. როგორ მოიქცეს, როგორ გამოზარდოს?

დღენაკლულ ბავშვის ორგანიზმში დარღვეულია სითბოს რეგულაცია. მის სხეუ-

ლის ტემპერატურა მეტად ფართო საზღვრებში მერყეობს და დამოკიდებულია ოთახის ჰაერის ტემპერატურაზე. ამის გამო, ისინი ადვილად გადახურდებიან ანდა ასევე ადვილად გაცივდებიან. სწორედ ამიტომაც აუცილებელია, რომ ბავშვი ზომიერად იყოს ჩაცმული. თუ ბავშვი ორ კილოგრამზე მეტს იწონის, მისი ზედმეტად ჩაბუნება არაა საჭირო. მას ორ საღებლას აცმევენ: ერთს, თხელს — შიგნით და მეორეს, ბამბაზისას — ზემოდან. შემდეგ უბედურად (სამკუთხა) გაკეცილ საფენს ამოუღებენ და კიდევ ორ საფენში გახვევენ. ხელებს თავისუფლად უტოვებენ. დაბოლოს, საბანს დაახურავენ და მის ქვეშ თბილ სათბურას (გრელკა) დაუდებენ.


ბავშვებს, რომლებიც ორსულობის მეშვიდე თვეზე დაიბადნენ, უფრო თბილი ჩაცმა სჭირდებათ. მათთვის უფრო მიზანშეწონილია კოფთა კაპიშონიდან და ბოლოგამოკერილი სახელოებით. ბავშვს საფენში ახვევენ, მერე ბაიკის საბანში, შემდეგ კი ბამბაზის კონვერტში დებენ, რომელსაც ბამბის დალიანდაგებული სარჩულო აქვს გამოდებული. ბავშვს სამივე მხრიდან შემოუწყობენ სათბურებს. და ბოლოს, ბაიკს ან თხელი შალის საბანს ახურავენ. სათბურში (გრელკაში) წყლის ტემპერატურა 60 გრადუსს არ უნდა აღემატებოდეს. თუ ბავშვს ცხვირი და შუბლი უცოვდება, ჩაჩის ქვეშ ბამბის თხელი ფენა უნდა გამოიფიქნოს.

ქობიაკოვი
სოციალი

ცხოველთა შორის მრავლად გვხვდება ისეთი სახეობები, რომლებიც წყვილად ცხოვრობენ მთელი სიცოცხლის განმავლობაში. საყოველთაოდ ცნობილია ყარყატები, რომელთა დედალ-მამალი მთელ თავიანთ სიცოცხლეს ერთად ატარებენ. ერთერთი მათგანის სიკვდილის შემთხვევაში, მეორე თავისი სიცოცხლის შემდეგ დროს მარტო ატარებს. ასევე განუყრელი არიან თუთიყუშები და სხვა მრავალი. მაგრამ ზოგიერთ ცხოველს უადრესად თავისებური „ცოლ-ქმრული“ დამოკიდებულება ახასიათებს.

არიან ისეთი ცხოველები, რომელთა დედალი თავის „მეუღლეს“ მთელი სიცოცხლის განმავლობაში თან ატარებს. როგორც იტყვიან „ზურვით დაჰყავს“. ზოგ შემთხვევაში ამ ფუნქციას მამალი ასრულებს.

ა. ჯანაშვილი



საწოლში ბავშვი ესე უნდა იწვეს, რი? ზედა ტანი ოდნავ მაღლა ჰქონდეს. ეს მას სუნთქვას უადვილებს.

ბავშვის დაბანვა მხოლოდ ჭიპლარის მოძრობის შემდეგ შეიძლება. პირველ 2-3 კვირას დასაბანი წყალი უქვევლად ანადულარი უნდა იყოს. აბაზანაში წყლის სითბო 38 გრადუსს უნდა აღწევდეს. ბანაობის შემდეგ ბავშვს თბილ წყალს გადაავლებენ და გამთბარ ზეწარში ახვევენ. ამშრალევენ ძალიან ფრთხილად — კანს მხოლოდ ნახად შეახებენ ზეწარს. შემდეგ ნაკეცებში უსვამენ მზესუმზირის გადადულეზულ ზეთს.

თუ საღამოს აბაზანა აღავზნებს და ძილს უფრთხობს პატარას, მაშინ დაბანვა უმჯობესია დილისათვის ან დღისით გადმოვიტანოთ.

დღენაკლული ბავშვისთვის აუცილებელია სუფთა პერზე ყოფნა. სახლიდან გამოსვლისას მას საბანში ხვევენ და სათბურს უდებენ. ზამთარში, თუ ყინვა 7-10 გრადუსს და კიდე მერტაც აღწევს, დღენაკლული ბავშვის გამოყვანა მხოლოდ სამი თვის ასაკიდან შეიძლება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია დღენაკლული ბავშვის კვება. ის დედისაგან დიდ ყურადღებას და მოთმინებას მოითხოვს.

რადგან დღენაკლულ ბავშვს თითქმის განუწყვეტლივ სძინავს, ამიტომ მას ჯერ გასსნაინა, ახალ საფენებში გახვევენ და მხოლოდ მაშინ, როცა გაიღვიძებს, აძლევენ ძუძუს. თუ პატარა პირს არ უჭერს ძუძუს თავს და ტყუილად აქვს პირში ჩადებული, დედამ ძუძუ ფრთხილი მოძრაობით პირში უნდა ჩაუჭეროს. რძის გემოს რომ იგრძნობს, პატარა ენას აამოძრავებს და რამდენიმე წოვიტ მოძრაობას გააკეთებს. არ შეიძლება ბავშვს დიდი ხნის განმავლობაში ვასწავლოთ წოვა: ის დაიღლება.

პირველ ხანებში ბავშვს წოვა უჭირს და ამიტომ ხშირად მას ძუძუს აწოდევენ ძუძუსთავზე მოსარგები საწოვრით. თუ ბავშვი კარგად წოვს და ბევრსაც გამოსწოვს, ის მალე ეგუება ამგვარ კვებას. მაგრამ თუ ბავშვი ძალიან სუსტია და ამავე დროს დედას ძუძუს ეკრტები მაგარი აქვს, მაშინ ასე იქცევიან: ბავშვს პირში უდებენ ამ საწოვარას თავს და ძუძუდან პირდაპირ ამ საწოვარაში იწველიან რძეს. კვებისას ბავშვს ხშირად ასვენებენ. თუ მას ბოთლზე წამოცმული საწოვარით კვებავენ, ასეთი შესვენებების დროს ბოთლს თბილწყლიან ჭურჭელში ათავსებენ, რომ არ გაცივდეს.

დღენაკლულ ბავშვებს კვებავენ სამ საათში ერთხელ, ე. ი. დღელამეში შეიძლება. თუ ბავშვი კილონახევარზე ნაკლებს იწონის, შეგვიძლია უფრო ხშირადაც კვებოთ — რვაჯერ ან ათჯერ. ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა ბავშვისთვის აუცილებელია კვებათა შორის ერთი ექვსსაათიანი შესვენება — ღამით. ამ შუალედში ბავშვს აძლევენ თბილ, ოდნავ შემტკბარ წყალს, ან გლუკოზის ხუთპროცენტიან ხსნარს (50-70 გრ დღე-ღამეში).

თუ დედას რძე ცოტა აქვს, პატარას ამ-

ლევინ ძროხის რძეს, მაშინ ან ბავშვთა სამშარულელოში დამზადებულ კიფირს.

დამატებით საკვებს ბავშვი სელ-ნელა უნდა შევაჩვიოთ: ჯერ მივცემთ დღეში ორჯერ 10-10 გრამს (შევურევთ ძუძუდან გამოწველილ რძეს), ორი-სამი დღის შემდეგ უკვე სამჯერ მივცემთ დამატებით საკვებს, კიდე შემდეგ ოთხჯერ — 10-10 გრამს, კიდე 2-3 დღის შემდეგ კი — ოთხჯერ 20-20 გრამს.

ოთხი თვიდან ბავშვს შეიძლება მიეცეს ხუთპროცენტიანი მანანის ფაფა (მანანის ბურღული — 5 გრ, რძე — 50 გრ, წყალი 75 გრ, შაქარი — 5 გრ), ხუთი თვიდან — ხილის კისელი; ექვსიდან — ათპროცენტიანი მანანის ფაფა (მანანის ბურღული — 10 გრ, რძე — 100 გრ, წყალი — 25 გრ, შაქარი — 5 გრ), შვიდი თვიდან — ბოსტნეულის პიურე და ხორცის ბულიონი, რვა თვიდან — ორთქლი მოხარული ხორცი.

როგორც კი ბავშვი სამი თვის ვახდება, მას აძლევენ ხილის წვესს, პირველად ძალიან მცირე რაოდენობით — რამდენიმე წვეთს, შემდეგ კი თანდათანობით უმატებენ, დღეში დაახლოებით ნახევარ ჭიქამდე.

დღენაკლული ბავშვები განსაკუთრებულ სიფრთხილით უნდა დავიფაროთ ინფექციისაგან. კვების წინ დედამ ძუძუ საბნითა და წყლით უნდა მოიბანოს, სუფთა პირსახოცით შეიმშრალოს და სუფთა კაბა ან ხალათი გადაიცვას. თუ ბავშვი ბოთლიდან ქაშს, მაშინ ბოთლიცა და საწოვარიც კვების წინ უნდა დაიმუდღროს.

თუ დედას გრიპი ან ანგინა აქვს, ის ძალიან უნდა ვაფრთხილდეს და კვების დროს სახეზე აიფაროს თეთრი დოლბანდის რამდენიმე ფენისაგან ან თეთრი ქსოვილისაგან შეკერილი ნიღაბი.

საშუალო ბავშვისათვის რაჟიტი. ეს დაავადება ძალიან ადრე ვითარდება და ამიტომ პატარებს უკვე პირველი თვიდან უნდა შეინახონ ექიმები ვიტამინ „დ“-ს.

თუ დღენაკლულ ბავშვს სწორი მოვლა და კვება აქვს, ის წონაში ყოველთვიურად იმატებს 600-700 გრამით და ორი სამი წლისათვის ფიზიკური განვითარებით თანატოლებს ეწევა კიდეც. რაც შეეხება ნერვულ-ფსიქიურ განვითარებას, დღენაკლულ ბავშვებში ყველაფერი ისე მიდის, როგორც ვადაზე დაბადებულ ბავშვებში. ბავშვები ჯანსაღები და მხიარულები არიან.

რა იწვევს ნაადრევ მშობიარობას? უფრო ხშირად ამის მიზეზი ხდება ქალის სასქესო ორგანოთა დაავადებები. აბორტი, ინფექციური დაავადებანი. დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ, ჩვეულებრივ, ნაადრევად მშობიარობენ ან ძალიან ახალგაზრდა, ან პირიქით, ძალიან ხნიერი ქალები. ნაადრევ მშობიარობას იწვევს აგრეთვე ფიზიკური ან გონებრივი გადაღლა და ორსულობის გართულებანი.

ამ დაავადებათა დროულმა მკურნალობამ შეიძლება შეაჩეროს ნაადრევი მშობიარობა.

ორსულობის ნორმალური მიმდინარეობა-

სათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ოჯახურ გარემოს. ამ დროს ქართველთა უმეტესობისთვის უნდა იყოს ცოლის მხარით, გაანთავისუფლოს მამაკაცი საქმეებისაგან და მოარიდოს ყოველგვარ მღელვარებას.

ე. ნოზიარვა,

მედიკინის მეცნიერებათა კანდიდატი.

უქვობისა
დღესვე
ქავისყოია...

ზრუნავთ თუ არა თქვენი ბავშვის ჯანმრთელობაზე? ამ კითხვას ბევრი მშობელი შეურაცხყოფილად მიიღებს. მაგრამ, სამწუხაროდ, არც თუ ისე იშვიათია შემთხვევები, როცა თვით მშობლები უწვევენ თავიანთ შვილებს დათუჯონ სამსახურს. ბევრ ოჯახში ბავშვი მუშაობავით ყავთ შეფუთული. და, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ცივნიავსაც არ აკარებენ. ასეთ ოჯახში ბავშვის უბრალო დეარდნა ერთ ამბად იქცევა ხოლმე.

რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში აღზრდილი ბავშვი ჯანმრთელი ვერ იქნება.

ზოგჯერ საწინააღმდეგო ამბავსაც შეეხედებით. ერთ-ერთ ოჯახში ასეთი სურათის მოწმე ვახდით: მასპინძლის ხუთი წლის ბიჭუნამ მძიმე რკინების აწვეით სტუმრები განცვიფრებაში მოიყვანა.

მშობელს მაშინვე ავუჯრძალეთ ბავშვის ასეთი ვარჯიში და ვურჩიეთ ბიჭის ექიმთან მიყვანა. ხუთი წლის კახა გულის მძიმე დაავადების საფრთხის წინაშე იყო.

მართლაც და რა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ჩვენი ბავშვი ჯანმრთელი იყოს?

პირველ რიგში, ელემენტარული წარმოდგენა უნდა გქონდეს ბავშვის ორგანიზმის ანატომიურ-ფიზიოლოგიურ თავისებურებაზე, უნდა ვიცოდეთ ფიზიკური ვარჯიშების მნიშვნელობა და ვიცნობდეთ მათი გამოყენების წესებს და ჩატარების მეთოდს.

წერილების ციკლში, რომელსაც ამ ნომრიდან გამოვაქვეყნებთ, ჩვენ შევხებით საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვთა ფიზიკური განვითარების საკითხებს.

ამ ასაკში ბავშვებს ორ ჯგუფად ყოფენ: სამიდან ოთხ წლამდე და ხუთიდან ექვ-

წლამდე. ორივე ასაკისათვის დამახასიათებელია სწრაფი ზრდა, თუმცა ისეთი არა, როგორც პირველ წლებში.

ეს ის პერიოდია, როდესაც ბავშვებს შეუძლიათ დამოუკიდებლად ითამაშონ, ქაშონ, ალაგონ სათამაშოები და სხვა.

ბავშვის ძვალ-სასხროვანი აპარატი უფრო ხრტილოვან წარმოქმნებს წარმოადგენს, ვიდრე ძვლოვანს.

ამიტომ ამ ასაკში განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიექცეოდნენ მოძრაობითი ჩვევების გამომუშავებას.

არასწორი ჯდომის, წოლის, ხანგრძლივად ერთსადამიანე მდგომარეობაში ყოფნის შედეგად შეიძლება დაირღვეს ბავშვის ორგანიზმის ნორმალური მდგომარეობა — გამარუდდეს ხერხემალი და სხვა, რაც თავის მხრივ გამოიწვევს შინაგან ორგანოთა ფუნქციების დარღვევას.

უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ასაკში ბავშვის ფილტვები არაა საკმარის განვითარებული, შეზღუდულია სასუნთქი გზებიც, რის გამოც ბავშვი სუნთქავს ზერელედ და ხშირად, წუთში 20-24-ჯერ ნაცვლად 16-18-სა. სისხლი ბავშვებს გაცილებით მეტი აქვთ, სისხლის მიმოქცევის გზები კი მოკლეა. ამიტომ მაჩისცემაც აჩქარებულია.

5-6 წლის ბავშვები თავისი ფსიქოლოგიური და ფიზიკური მონაცემებით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან 3-4 წლის ბავშვებისაგან. მათი ცენტრალური ნერვული სისტემა და პირობითი რეფლექსებიც უფრო მეტადაა განვითარებული.

როგორ განვსაზღვროთ ბავშვის ნორმალური ფიზიკური განვითარება?

საამისოდ არსებობს მრავალი ხერხი. ყველაზე მისაწვდომია შედარება არსებულ სტანდარტებთან. (ცხრილი იხ. ქვემოთ).

3-4 წლის ბავშვების ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა 400-500 კუბურ სანტიმეტრს უდრის, 5-6 წლის ბავშვებისა კი — 800-900 კუბურ სანტიმეტრს. თუ უმცროსი ასაკისათვის დამახასიათებელია შეზღუდული, დინამიური მოძრაობები, უფროს ასაკში მოძრაობითი ჩვევები ავტომატიზმში გადადის, ეცემა მაჩისცემისა და სუნთქვის სიხშირეც.

ვიზიუალური მეთოდები და ორგანიზმის ბაბაშება

ბავშვის ორგანიზმის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კვებისა და დღის რეჟიმს.

ბავშვის უმადობას ყველა მშობელი მტკივნეულად განიცდის. როგორც წესი, უფრო მოძრავი და ფიზიკურად განვითარებული ბავშვები უკეთ ჰავენ.

დილით გაღვიძების შემდეგ ბავშვი უნდა მივაჩვიოთ საშარდე ბუშტისა და სწორი ნაწლავის დაცლას. ვარჯიშის წინ საკვების მიღება დაუშვებელია.

დიდი მნიშვნელობა აქვს კანისა და ტანსაცმლის სისუფთავეს. მზე, ჰაერი და წყალი — აი, ჯანმრთელობის ყველაზე კარგი საშუალება.

ძილი ღია ფანჯარასთან, მზისა და წყლის

აბაზანები, სველი ტილოთი ტანის დაზელი, ძილის წინ ფეხების დაბანა და სხვა ჯანმრთელობის ძირითადი პირობებია.

უნდა გვახსოვდეს, რომ უცბადი ცვლილებები კეთდება: ბავშვის ორგანიზმი თანდათანობით უნდა შეეჩვიოთ მზის სხივებსა და წყალს.

წყლის პროცედურების დაწყება კარგია ზაფხულში. პირველ ხანებში ბავშვი სველი ტილოთი სწრაფად დაეზილოთ მკერდის, კისრის, ზურგის, მკლავების არეში და კარგად გავამშრალეთ ხაოიანი პირსახოკით. დასაწყისში წყლის ტემპერატურა 30-32 გრადუსი უნდა იყოს, შემდეგ კი ყოველ 4-5 დღეში ერთი ან ორი გრადუსი დეაკლოთ და საბოლოოდ 18-20 გრადუსამდე დაეიყვანოთ. წყლის პროცედურების შემდეგ ბავშვს რამდენიმე ენერგიული მოძრაობა გვაკეთებინათ.

წყლის პროცედურების მიღებისას საჭიროა ექიმის რჩევაც, რადგანაც ზოგიერთი დაავადების დროს (კოემა, გულის დაავადება და სხვა) საჭიროა სპეციალური რეჟიმი.

(გაგრძელება იქნება)
გივი ყიციანი,
სპორტის ოსტატი.

სახალისო
შესანიხი
სანებლევი

წლოვანება	სიმაღლე		წონა		გულმკერდის გარშემოწერილობა	
	ბიჭები	გოგონები	ბიჭები	გოგონები	ბიჭები	გოგონები
3 წლის	92,7 სმ	91,6 სმ	14,6 კგ.	14,1 კგ.	52,6 სმ	52,0 სმ
4 "	99,3 "	98,4 "	16,1 "	15,8 "	53,9 "	53,2 "
5 "	106,5 "	105,4 "	18,1 "	17,7 "	55,5 "	54,7 "
6 "	112,8 "	112,5 "	20,2 "	19,9 "	57,6 "	56,6 "



ღაზაღაგის საერთო ნაწი
საწებლები შეიძლება დამზადდეს: მწიფე და მკვებ ტყეშისაგან, ღოღნოშისაგან, შავქლიავისგან, ალუბლისგან, შინდისგან, მაყელისგან, ბროწეულისგან. ამზადებენ შერეულ საწებლებსაც. მაგალითად, ტყეშაშს ურევენ ღოღნოშს, შავქლიავს — რენკლოდს ან სხვადასხვა სახის ქლიავეს. ზოგჯერ სუფრაზე მითანის წინ უკვე გამზადებულ საწებლებსაც ურევენ ერთმანეთს. მაგალითად, 1 ჩაის ჭიქა რომელიმე ზემოთჩამოთვლილ საწებელს უმატებენ ამდენივე ტომატს და ცოტა ძმარს.

საწებლის შესაკაზმი მწვანილები უნდა იყოს დაკაკლული, დაყვავილებული, ოღონდ ფოთლები ისევ მწვანე უნდა ჰქონდეს. შესაკაზმად იხმარება: ქინძი, კამა, ომბალო, ქონდარი, ნიახური, ოხრახუში, ცოტა შამაკლავის თესლი, ნიორი და ხმელი წითელი წიწკა.

მწვანილები წინა დღით უნდა გავრეცხოთ და ქილებში ჩავალაგოთ წყლისგან დასაწყ-

რეტად (ყვავილები მსგავსად). საწებელი საღამოს უნდა მოიხარშოს, დილას ადრე მწვანელი უნდა დავნაყოთ ძალიან წმინდად და დანაყვისთანავე თანდათანობით ვუყოთ გაცივებულ ტყემლის მასას. ბოლოს კარგად ავუბრთოთ ხელით.

საწებელი ალუმინის ქვაბში უნდა მოიხარშოს. ქვაბს ქვემოდან რკინის ბრტყელი ნაჭერი უნდა ამოუდლოთ, რომ ცეცხლზე არ მიიწვას. როგორც კი ქვაბს ცეცხლიდან გადმოვდგამთ, ტყემალი უნდა ვადავიტანოთ ფაიფურის, მინის ან მომინანქრებულ ჭურჭელში (მომინანქრებული ზედაპირი გატეხილი არსად არ უნდა იყოს). აქვე გავაცივოთ.

საწებლისათვის განუთენილი ხილი მწიფე და ახლად დაკრეფილი უნდა იყოს. ერთად მოიხარშება არა უმეტეს 10 კილოგრამისა.

გარეცხილი ხილი ნახევარ საათს მაინც უნდა გავაჩეროთ, რომ წყალი არ შეჰყვას. შემდეგ ქვაბში ხელით კარგად უნდა დავუყლიტოთ, დავდგათ მოსახარშად და ვხარშოთ ზომიერად, თან ვუბრთოთ. ვხარშოთ დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში. ცხელივე გადავიტანოთ დიდ საწურში, ხის კოვზით ვაგვხვოთ, მოვაშოროთ კურკები და კანი. დავტოვოთ დილამდე გასაცივებლად. დილას ადრე ცივი შევკაზმოთ და მაშინვე ჩავასხათ ბოთლებში (რომლებსაც წინააღმდეგ დავრეცხავთ და თავქვე დავამხოთ).

ბოთლებში ჩასხმულ ტყემალს თავზე დავადლოთ 1/2 ჩაის კოვზი კარგად დანაყილი ნიორი, წიწკა და მარილი. შემდეგ, მოვასხათ მზესუმზირის ზეთი. მაგრად დავუბრთოთ საცობით (რომელსაც 2-3 დღით ადრე გამოვხარშავთ, გავაშრობთ და ცოტა ზეთსაც მოვუვსებთ). მაშინვე დავდგათ ცივ და მშრალ ადგილას. თუ საწებელი ძალიან სქელია, ხმარების წინ შეიძლება გავაზავოთ წყლით და დავუმატოთ ახალი ქინძი.

ასე დამზადებული საწებელი დიდხანს კარგად ინახება. ის ძალიან სასარგებლოა, რადგან ბევრ ვიტამინებს შეიცავს, მადის მომგარგოლია და ხელს უწყობს საჭმლის მონელებას.

ქლიავის, შინდის და ალუბლის საწებლები შეიძლება ავადმყოფსაც მიეცეს, თუ ცხარე არ იქნება.

ლოღნომოს საწებელი

7 კგ ახლადდაკრეფილი, ძალიან მწიფე ლოღნომო გაარჩიეთ, გარეცხეთ, ჩაყარეთ ალუმინის ქვაბში, კარგად ჩაუყლიტეთ ხელით, დადგით ზომიერ ცეცხლზე და ხშირად უბრთოთ. როცა მოიხარშება, ცხელივე ხის კოვზით ვაგვხვთ დიდ საწურში. მოაშორეთ კურკები და კანი, დილამდე შეინახეთ გასაცივებლად მინის, ფაიფურის ან მომინანქრებულ ჭურჭელში. ცივი შეკაზმეთ წმინდად დანაყილი მწვანელით (300 გრ ქინძი, 200 გრ კამა, 150 გრ ომბალო, 100 გრ ქონდარი, 150 გრ ნიორი, მარილი და წიწკა გემოვნებით). მაშინვე ჩავასხათ ბოთლებში, მჭიდროდ დახუროთ თავი და შეინახეთ ცივ და მშრალ ადგილას.

ლოღნომოს გყდავი

7 კგ ლოღნომო გაარჩიეთ, გარეცხეთ. მოათავსეთ ქვაბში, ჩავსხით ცოტა წყალი. ისე, რომ ორ თითზე ადგეს. მოხარშეთ. ხარშვის დროს ნუ აუბრთოთ. როცა მოიხარშება, გადაიღეთ საწურზე, წვენი კი ცალკე შეინახეთ, ლოღნომო ცხელივე ვაგვხვთ, სუფთა, გამალაშინებულ ფიცარზე სქელ ფენად დაასხით, მისივე ნახარშ წვენში დაისველეთ ხელი და თანახრად გაასწორეთ (ფიცარი უნდა იყოს ფოთლოვანი ხის). შემდეგ დადგით მზეზე და კარგად გააშრეთ. 2-3 დღის შემდეგ დანით შემოუყეთეთ ნაპირები, ფიცარსა და ტყლას შორის ვაავლეთ თეთრი კოჭის ძაფი და გადააბრუნეთ. გადაუსვით შენახულ წვენში (ან ახლად მოხარშულ ტყემლის წვენში) დასველებული ხელი და გაასწორეთ. როცა შესრება, ორივე მხარეს წაუსვით თავისივე წვენი და გადაიკიდეთ მრგვალ ჯოხზე. ასე გაიმეორეთ 2-3-ჯერ. კარგად გამშრალი შეინახეთ მშრალ ადგილას. ტყლას დამზადებას ის უპირატესობა აქვს, რომ კარგად ინახება და წასაღებადაც ადვილია. შემდეგ კი, როცა საწებელი მოგესურვებთ, შეგიძლიათ დააღებოთ წყალში, დაუყლიტოთ და ტყემლის საწებელივით შეკაზმოთ.

თუ ხელთ გექნებათ გოგრის ნახარში, წყალი და ტყლას იმაში დააღებოთ, საწებელი კიდევ უფრო გემრიელი გამოვა.

ლოღნომოს კვანძიანი

კვანძის მისაღებად ლოღნომოს წვენი უნდა ვადულოთ ისე, რომ დავიკლოს 1/3. მერე ვაღმოდგამთ. ვადავიტანოთ ცივ წყალში, კამა, ომბალო, ქონდარი, ნიორი, წიწკა, მარილი და წიწკა გემოვნებით.

კვანძიანი, საწებელი, ტყლაპი შეიძლება დავამზადოთ მწიფე ტყემლისაგან, შევქლიავისაგან, შინდისაგან და ლოღნომოსმაგვარი ქლიავისაგან.

შვი კლავის საწებელი

ძალიან მწიფე ალუბალი გავარჩიოთ, გარეცხოთ, კარგად დავუყლიტოთ, გავატაროთ ძუის საწურში, მოვაშოროთ კურკები (კანი ვაგვხვოთ რამდენადაც შეიძლება). ეს ყველაფერი დამე გავაქეთოთ და სიგრილეში შევკაზმოთ ზემოთჩამოთვლილი მწვანელით. ჩავასხათ მაშინვე ბოთლებში და შევინახოთ ცივ ადგილას.

ასევე შეიძლება დამზადდეს უმი საწებელი ძალიან მწიფე ტყემლისაგან, ლოღნომოსგან და სხვადასხვა ჯიშის ქლიავისაგან.

ახალი, მზანე გყეპის საწებელი (საზამთროდ შესახანი)

6 კგ ახალი ტყემალი (მომწარი გემო არ უნდა ჰქონდეს და ხარშვის დროს უნდა იშლებოდეს), ზრდადამთავრებული და კურკამაგრებული, გავარჩიოთ, გარეცხოთ, მოვათავსოთ ქვაბში, დავასხათ წყალი ისე, რომ ფსკერს ორ თითზე ადგეს. დავდგათ ზომიერ ცეცხლზე, თან ვუბრთოთ. როცა მოიხარშება, ცხელივე გავატაროთ დიდ საწურში, ხის კოვზით მოვაშოროთ კურკები და კანი. შევინახოთ დილამდე გასაცივებლად. ავიღოთ დაყვავილებული, წინა დღით გარეცხილი: 500 გრ ქინძი, 300 გრ კამა, 250 გრ ომბალო, ცოტა ქონდარი, 200-250 გრ ნიორი, წიწკა და მარილი (გემოვნებით), დავნაყოთ ძალიან წმინდად და ცივი ტყემალი შევკაზმოთ. მაშინვე ჩავასხათ ბოთლებში და შევინახოთ ცივ, მშრალ ადგილას. ასე დამზადებული დიდხანს, კარგად ინახება.

ასევე მზადდება შინდის საწებელიც, ღონდ იმ განსხვავებით, რომ საკაზმს ნაკლებს უტეობენ.

დიასახლისი **ოლია ბრეგვაძე**

ბარამბანში—„ხომლერა მეჩაიე ქალზე“. მხატვარი **ლ. შენგელია**

<p>რედაქტორი თეო აბაშმაძე</p>	<p>სარედ. კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდაძე, ნ. გურგენიძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), ნ. ჯავახიშვილი.</p>	<p>საქ. კმ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა</p>
-----------------------------------	--	---

ტიქრედაქტორი **ქ. დემუროვა.**

რედაქციის მისამართი — **სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9-98-71. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორ. რაოდ. 5,8.**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/VI 64 წ. ქალაქის ზომა 50×92. ტირაჟი 45 000 შეკვ. № 1124. უფ. 04431, ფასი 30 კაპ. საქ. კმ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა № 1, ლენინის ქ. № 14.

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелოს კალი». Издательство ЦК КП Грузии.

კომპოზიტორი **3. კურტიდი**

ტექსტი **ს. ღიასამიძის**

მეაჩიე გომონას

შენში სიცოცხლე შევიცან,
მაგ ბაგეს შეენის ღიმილი.
კისკისით ხვლები ალიონს,
ბურჩქებს ჩაუვლი ღიღინით.

მჯერა, იბოვი გულის სწორს,
გმირ ქალს რომ შეგვეფერება,
ის რწმენა ღებნით ამავსებს,
და შენთან მეც მემღერება.

მე შენი შრომა მახარებს,
ოცნებით უმზერ განთიადს.
ჩაის ბურჩქების შრიალში
სიცოცხლის ეშხი ანთია.

სამშობლოს ნატურის თვალი ხარ,
ქალი ხარ, ქალი გამარჯელი.
ჭირიმე შენი ღიმილის,
ჭირიმე შენი მარჯვენის.

შრომასთან იძენ ცოდნასაც,
თაიგულივით ირთვები.
შრომაა შენი გვირგვინი,
ცოდნაა შენი მზითვეი.

ეს გული მათეივის ხმინანებს,
ქვეყნისთვის ვინც გაირჯება.
არ დაგავიწყდეს, ლამაზო,
ქორწილში მიპატიჟება.

Moderato

შენ- ში სი-ც-ს-ც-ღე შე-ვი-ქ-ან, მაგ ბა-გეს შე-ენის ღი-მი-ლი, კის-კი-სით ხვ-დუ-ბი ა-ღი-ღ-ნს

ბურ-ჩქებს ჩა-უ-ვ-ლი ღი-ღ-ინით მე შე-ნი ში-ლ-მა მა-ხა-რებს, თუ-ნე-ბიო-ს-მ-ზე-ხი-გან-თ-ადს,

ჩა- ის ბურ-ჩქ-ებს ში-ღ-ში სი-ც-ს-ც-ღის ე-შ-ხი ან-თი-ა-შ-ხ-მ-ს-თ-ან ი-ძენ ცოდ-ნა-ს-აც,

თა- ი-გ-ყ-ლი-ვით ი-თ-ვ-ები, ში-ლ-მა-ა შე-ნი გვი-რ-გ-ვინი, ცოდ-ნა-ა შე-ნი მ-ზ-ით-ვეი.

მე-ვი-ა ი-ბ-ო-ვი გუ-ლის სწ-ორს, გ-მ-ირ ქ-ალს რომ შე-გ-ვე-ფ-ერ-ება ის რწ-მ-ენა ღ-ებ-ნით ამ-ავ-ს-ებს,

და შე-ნ-თან მეც მე-მ-ღ-ერ-ება ს-ამ-შ-ობ-ლ-ის ნატ-ურ-ის თ-ვა-ლი ხარ, ქ-ა-ლი ხარ, ქ-ა-ლი გამ-არ-ჯ-ელი.

ჭი-რი-მე შე-ნი ღი-მი-ლის, ჭი-რი-მე შე-ნი მ-არ-ჯ-ვენის, ეს გუ-ლი მათ-ე-ი-ვის ხმ-ინ-ან-ებს,

-თვის ხმ-ინ-ან-ებს, ქ-ვე-ყ-ნის-თვის ვინ-ც გა-ირ-ჯ-ება, არ და-გ-ავი-წყ-დეს, ლ-ამ-ა-ზ-ო,

ქ-ორ-წ-ი-ლ-ში მი-პ-ა-ტი-ჟ-ება.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

